

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

რუსუდან ირემაძე

ზემოაჭარული მეტყველების ლექსიკური თავისებურებანი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი - ელზა ფუტკარაძე, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ბიჭაური

2019

ანოტაცია

ზემოაჭარული მეტყველების ლექსიკური თავისებურებანი

როგორც ცნობილია, აჭარული ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელოვანი კილოა. ჩვენი კვლევის საგანი ზემოაჭარული მეტყველების ლექსიკური თავისებურებათა შესწავლაა. ამ კუთხით ზემოაჭარული კილო საინტერესო ლინგვისტურ სურათს გვიჩვენებს.

კვლევისას გამოვლინდა, რომ ზემოაჭარული კილოს სიტყვები თვალსაჩინო ფენას წარმოადგენს ძველი ქართული ენის ლექსიკა. ჩვენ მიერ მოძიებული ლექსიკური არქაიზმებიდან დავასახელებთ ზოგიერთ ნიმუშს: არნაბი, კოტა, ლელმა, მერე...

ზემოაჭარული მეტყველების სახასიათო ნაწილს წარმოადგენს საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები: ამძოხებული, ბადადი, დაპანტვა, წვიტი, თხუელი..

ზემოაჭარული მეტყველების ლექსიკური თავისებურებების მახასიათებელია ზანიზმებიც: ბადიში, ბურდლა, ჩორჩხი... ამასთანავე, დადასტურდა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებშიც ფუძეენის კუთვნილი ზოგიერთი არქეტიპის აღდგენაში დაგვეხმარება. ამ რიგის ლექსიკური ერთეულებია: ახუჰვა, კელობა, ხაშარი, ნერჩი, ერინჯი.

კუთხის ისტორიული წარსულის გამო, ზემოაჭარულ მეტყველებაში გვხვდება უცხოენოვანი ნასესხობანი. კერძოდ, თურქული და თურქულის გზით შემოსული არაბული და სპარსული ლექსემები: ყირმიზი, ნახოჯვარი, სირთი, ტუარი, ლეგენი....

ზემოაჭარული მეტყველება მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებითაც: გაკნაჭულ ვირზე ჯდომა, კონდალში მოშლა, ყიყვების გასიება...

ამგვარად, ზემოაჭარული დიალექტის ლექსიკა მრავალმხრივ საინტერესოა. მიგვაჩნია, რომ მისი შესწავლა აქტუალური, სიახლის მომცემია. ამ კუთხით კვლევა ხელს შეუწყობს ახალი ან მივიწყებული ლექსიკური ერთეულების გამოვლენას.

შესაბამისად, დიალექტის ლექსიკის შესწავლა ხეობათა თუ თემა-ქცევის დონეზე სწორედ შეძლებს ამ ლექსიკურ ერთეულთა აღნუსხვას. თითოეული ახალი ლექსიკური ერთეული თავის ადგილს დაიჭერს დიალექტის დარგობრივ ლექსიკაში. დიალექტის ლექსიკის შესწავლა კი არის სალიტერატურო ენის სიტყვიერი ფონდის საფუძველიცა და სიმდიდრეც.

Anotatione

Lexical peculiarities of upper Adjarian Speech

As it is known, Adjarian dialect is an important link to Georgian literary language. The subject of our research is to study the lexical features of the Upper Adjarian speech. In this regard, the the peculiarities of this dialect gives an interesting linguistic picture.

The study revealed that the vocabulary of the Upper Adjara is mainly based on the old Georgian language. We will name some samples of the lexical archaic vocabulary we find: Arnabi, Kota, Leigma, mere ...

The characteristic part of Upper-Adjarian speech is represented by the following lexical dialects: andzokhebuli, badadi, dapantva, tsviti, tkhueli...

The characteristic features of the lexical qualities of Upper-Adjarian speech are also the Zan elements: badishi, burdgha, chorcgkhi... . In addition, such lexical units are proven to help in the restoration of some archetypes belonging to the base language. The lexical units of this line are: akhupva, keloba, khashari, nerchi, erinji.

Due to the historic past of the Georgian part, foreign-language borrowings are found in the Upper-Adjarian speech. Namely, there are Arabic and Persian lexemes brought via Turkish language: kirmizi, nakhojvari, sirti, tuari, legeni...

The speech of Upper Adjara is rich with figurative expressions like “sitting on the shaved donkey” and other ones too.

Thus, the dialect of the Upper Adjara vocabulary is interesting in many ways. We believe that the study of it is relevant, promising novelty. In this regard, the research will help to reveal some new or forgotten lexical units. Accordingly, studying the vocabulary of the dialect on the valley level can support to numerate the interesting lexical units. Each new lexical unit will get its place in the dialect of the field vocabulary. The study of dialect vocabulary is the basis and wealth of the verbal foundation of the literary language.

სარჩევი

შესავალი	6-9გვ.
I თავი-არქაული ლექსიკური ერთეულები ზემოაჭარულ მეტყველებაში	10-14გვ.
II თავი- ლექსიკური დიალექტიზმები ზემოაჭარულ მეტყველებაში	15-20გვ.
III თავი- ზანიზმები ზემოაჭარულ ლექსიკაში	21-24გვ.
IV თავი- უცხო ენოვანი ლექსიკური ერთეულები ზემოაჭარულ მეტყველებაში	25-25გვ.
თურქიზმები	25-27გვ.
არაბიზმები	28-36გვ.
სპარსიზმები	36-38გვ.
V თავი- ხატოვანი სიტყვა-თქმები ზემოაჭარული მეტყველებიდან	39-44გვ.
დასკვნა	45-48გვ.
გამოყენებული ლიტერატურა	49გვ.

შესავალი

ენა ცოცხალი ორგანიზმია, იბადება, იზრდება, ვითარდება და კვდება. ენა ეროვნების უპირველესი მახასიათებელია: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ (გ. ორბელიანი). ამიტომ განუზომელია ზრუნვა მშობლიური ენის განვითარებისა და მისი სინამდის დაცვისთვის. საყოველთაოდ ცნობილია, სალიტერატურო ენის მასაზრდოებელი, სათავეც და შენაკადებიც დიალექტებია. რაც უფრო უხვი და მრავალფეროვანია ეს შენაკადები, მით უფრო მდიდარია დედაენა. ქართული სალიტერატურო ენის სწორი განვითარება, მრავალფეროვნება დიდად არის დამოკიდებული დიალექტზე, მის მეცნიერულ შესწავლაზე. ენის განვითარების სწორად განსაზღვრაში მნიშვნელოვანია სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთდამოკიდებულება.

ქართული სალიტერატურო ენის ფორმირებაში, სამხრულ-დასავლურ დიალექტთა ჯგუფს, კონკრეტულად კი, აჭარულს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აჭარული დიალექტი ერთიანი ქართული ენის ორგანული ნაწილია, „ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი, ენობრივი თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვანი კილოთაგანია, რომელმაც ქართული ენის სხვა დიალექტებთან ერთად, თავისი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში“ [გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961:389].

აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა მდიდარი და მრავალფეროვანია. ამასთანავე, მრავალმხრივ საინტერესოა ენათმეცნიერული თვალსაზრისით. კერძოდ,

აჭარულის საფუძვლიანი შესწავლისას ვლინდება უძველეს ლექსიკურ ერთეულთა ფენა, რომლის „შესწავლაც დაგვეხმარება ფუძენის კუთვნილი ზოგიერთი არქეტიპის აღდგენაში“ [ნოლაიდელი, 2013:4].

აჭარულ დიალექტში ბევრი უცხო ენიდან შემოსული ლექსიკური ერთეულია. კერძოდ, თურქული და არაბული ენებიდან. უცხოენოვან სიტყვათა დამკვიდრებას კი ხელი კუთხის ისტორიულმა წარსულმა შეუწყო. მაგრამ მთავარია, რომ ამ სიტყვათა შემოდინებამ კილოს შემადგენლობა ვერ შეცვალა.

ამდენად, აჭარული დიალექტი ერთ-ერთი საინტერესო კილოთაგანია ლექსიკის თვალსაზრისით. დიალექტი არაერთ საინტერესო ლექსიკურ ერთეულს ინახავს, ასევე, ზემოაჭარულ მეტყველებაში ვლინდება ისეთი ლექსემები, რომლებიც აჭარული და საერთოქართველურ ენათა დიალექტების ურთიერთმიმართების საკითხის კვლევისასაც გასათვალისწინებელია.

აჭარული დიალექტის შესახებ არსებობს მრავალი გამოკვლევა. წლების განმავლობაში აჭარული დიალექტის დარგობრივმა კვლევამ უამრავი ახალი ლექსიკური ერთეული წარმოაჩინა, რომლებიც თავის ადგილს ელის საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

აჭარული კილოს ზემოაჭარული მეტყველება, მისი ლექსიკა, მრავალმხრივ იქცევს მკვლევართა ყურადღებას, ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ზემოაჭარული მეტყველება ფონეტიკურ-მორფოლოგიური თუ ლექსიკური თვალსაზრისით სახასიათოა. ის მსგავსებას ავლენს როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ დიალექტებთან.

განსაკუთრებით საინტერესოა იმ კუთხით ზემოაჭარული მეტყველება, რომ დაცულია ლექსიკური არქაიზმები. ზემოაჭარულ მეტყველებაში გამოვლენილი ლექსიკური არქაიზმები ძველი ან საშუალო ქართულის კუთვნილებათაა.

ზემოაჭარული მეტყველება მდიდარია ლექსიკური დიალექტიზმებით. აჭარული დიალექტის შესწავლა თქმისა თუ ქცევის დონეზე არაერთ ლექსიკურ დიალექტიზმს

გამოკვეთს. ბუნებრივია, ამ კუთხით კვლევა უფრო სრულყოფილ, დეტალურ, საფუძვლიან წარმოდგენას შეგიქმნის დიალექტის სალექსიკონო მხარეზე.

დიალექტში, ხალხის ცოცხალ მეტყველებაში დაუნჯებულია ხატოვანი სიტყვა-თქმებიც.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზემოაჭარულ მეტყველებაში დაცულია მეგრულ-ლაზურის სუბსტრატის კვალიც.

კუთხის ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, ზემოაჭარულ მეტყველების ერთ-ერთი სახასიათო ლექსიკური თავისებურებაა ისიც, რომ გვხვდება უცხოენოვანი სიტყვები. ბევრია არაბულიდან, სპარსულიდან, თურქულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულები.

მართალია, აჭარულ კილოში შემოვიდა ბევრი უცხოური სიტყვა, მაგრამ აჭარულის ლექსიკურ შემადგენლობაზე გარდამტეხ გავლენას ეს ვერ ახდენს. ძირითადად უცვლელი დარჩა დიალექტის სალექსიკონო მასალა.

აჭარული კილოს გრამატიკული თავისებურებებით დაინტერესებას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მეტნაკლებად შესწავლილია ზემოაჭარულის თავისებურებანიც.

აღნიშნულ საკითხს ეხება მ.ხუბუას შრომა „აჭარულის ენობრივი მიმოხილვა“ (1932). ავტორს ზემოაჭარულის თავისებურება განხილული აქვს მის მიერ ჩანერილი ტექსტების საფუძველზე. ბუნებრივია, ნაშრომში სრულყოფილად ვერ აისახა ზემოაჭარულის თავისებურებანი, ჩანერილი ტექსტების სიმცირის გამო.

აჭარული კილოს შესწავლის საქმეში განსაკუთრებით დიდია ჯ.ნოლაიდელის წვლილი. მან გამოაქვეყნა ტექსტები- „ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, ბათუმი, 1933; „აჭარის ხალხური პოეზია“, ბათუმი, 1936 და ამასთანავე, აჭარულის ენობრივი დახასიათებაა მოცემული მის მიერ გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „აჭარა დიალექტოლოგიურად“, 1936.

აჭარული კილოს მკვლევართაგან დიდია შ. ნიჟარაძის დამსახურება. მან 1961 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი“. აღნიშნულ მონოგრაფიას თან ერთვის ტექსტები ლექსიკონითურთ.

გარკვეული წვლილი მიუძღვის აჭარული კილოს შესწავლაში ი.მეგრელიძეს, ე.ლომთათიძეს. ზემოაჭარულ კილოს ეხება პ.ჯაჭანიძის შრომა- „აჭარული დიალექტის მორფოლოგიის საკითხები“.

აჭარული კილოს ლექსიკურ საკითხზე საუბარია ნ.ნოლაიდელის სამეცნიერო წერილებში. აღსანიშნავია მისი მონოგრაფია „ლექსიკური ძიებანი“, აჭარული დიალექტის ლექსიკური მასალების მიხედვით, ბათუმი, 2013. ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა დიალექტის ლექსიკური თავისებურებების განხილვის თვალსაზრისით. ნაშრომში არაერთი ახალი ლექსიკური ერთეულია წარმოჩენილი. დიალექტის დარგობრივ ლექსიკაზე მრავალწლიანმა მუშაობამ ავტორს მისცა შესაძლებლობა წარმოეჩინა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთაც ასახვა ვერ ჰპოვეს შ. ნიჟარაძის სალექსიკონო მასალაში. ნაშრომი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ აჭარული დიალექტის ლექსიკის დახასიათებასთან ერთად წარმოდგენილია ხატოვანი სიტყვა-თქმები, საკუთრივ სალექსიკონო მასალა.

ზემოაჭარული მეტყველების ლექსიკური თავისებურებების განხილვისას ვეყრდნობით შ.ნიჟარაძის მიერ ჩაწერილ ტექსტებს, რომელიც ერთვის მისივე მონოგრაფიას. ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961; გვ. 147-279.

საკვლევი თემის განხილვისას გამოვიყენებთ მასალის შეკრება-ანალიზისა და შედარება-შეპირისპირების მეთოდს.

აჭარული კილოს ლექსიკურ თავისებურებებს ეხება კრებული „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“ (რამდენიმე ტომად) და „აჭარული საუნჯე“ [I, II, III, IV.ტ.].

როგორც ცნობილია, ხალხის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში არაერთი ლექსიკური ერთეულია დაუნჯებული. დიალექტური ლექსიკის შესწავლა ხეობათა თუ

თქმა-ქცევის დონეზე იძლევა შესაძლებლობას ხალხის მეტყველებაში დაცული ლექსიკურ ერთეულთა აღნუსხვისას. ბუნებრივია, თითოეული ახალი ლექსიკური ერთეული თავის ადგილს დაიჭერს დიალექტის დარგობრივ ლექსიკაში. დიალექტის ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა კი არის სალიტერატურო ენის სიტყვიერი ფონდის საფუძვლილი და სიმდიდრეც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის საგანი ზემოაჭარულ მეტყველების შესწავლაა ლექსიკური თვალსაზრისით. შესაბამისად, კვლევის მიზანია ზემოაჭარული მეტყველების ლექსიკური თავისებურებების განხილვა.

ამდენად, ზემოაჭარული დიალექტის ლექსიკა მრავალმხრივ საინტერესო და სახასიათოა. მიგვაჩნია, რომ ლექსიკის შესწავლა ყოველთვის აქტუალური და სიახლის მომცემია, რამეთუ ამგვარი კვლევა ხელს უნობს ახალი ან მივიწყებული ლექსიკური ერთეულების გამოვლენას.

თავი I

არქაული ლექსიკური ერთეულები ზემოაჭარულ მეტყველებაში

ზემოაჭარულს დაუცავს არაერთი არქაული სიტყვა თუ გამოთქმა, რომელიც სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში ან სულ არ გვხვდება, ან თანდათან გადის ხმარებიდან.

არქაიზმების არსებობა ზემოაჭარულში ძირითადად იმით უნდა აიხსნას, რომ იგი კარგა ხნის განმავლობაში მონყვეტილი იყო მშობლიურ ქართულ ენას, მის დიალექტებს. ზემოაჭარულში ჩვენ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს ვგულისხმობთ, რომელნიც სალიტერატურო ქართულში ან სრულიად არ გვხვდება, ან, თუ ზუსტად პარალელები დაეძებნა, ისინი არქაული წარმოშობისანი არიან [ნიჟარაძე, 1961: 130-131]. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ არქაულ ფორმებს ზემოაჭარული მეტყველებიდან:

არნაბი-ტარიანი ძელი, გამოთლილი მიწის გადასაყრელად: „**არნაბის** ბოლოებში ხრიტინებია გაკეთებული, შიან თოკვს გამოაბამთ და დევენიკებით მიწის გადასაწევათ“ (ნიჟ.); შდრ. საბა: ბზის სახვეტელი. შდრ. ლლონტი: მიწის გადასატანად მონყობილი ფიცარი.

არჩივი, **არშივი**-წილი, კერძი, კუთვნილი: „ ჩემ **არჩივს**, ტყვილია ცოცხალი თავით არავის დუთმობ“ (ნიჟ.); შდრ. საბა: საჭმლის კერძი. შდრ. ლლონტი: წილი, კუთვნილი, კერძი ან ქონებ, ულუფა.

ბაყვი-„მუხლის ზეითი“, ბარძაყის შიგნითა მხარე: „მაგრამ ჩემი დამხობისათვის სამსაც მოგტეხა **ბაყვია**“ (ნიჟ.); შდრ.საბა: მუხლის ზეითი. შდრ. ლლონტი: 1.ბავშვი, ბაღლი. 2.ადგილი, სადაც ბარკალი ეკვრის მუცელს. 3.ფრინველია ერთგვარი.

კალიბი-იალაღებზე აგებული ქვის პატარა ჯოხი: „**კალიბები** ქარებისაგან დაცულ, განსაკუთრებულ შერჩეულ ადგილას იგებოდა, რომლის ირგვლივ ღამღამობით შესაძლებელი იქნებოდა ხარის დანოლაც“ (ნიჟ.); შდრ. საბა ესე არს ვითარცა მხარე რამე.;

კოტა-ხის რიკი რისამე ჩამოსაკიდებლად, სიმინდის ტარო, თოფის საკეტი: „მაჭვის იმ ნაწილს, რომლის გვერდზე გამოშვერილია და რომელზედაც ხვნის დროს უკიდია ხელი მხვნელს, **კოტა** ეწოდება“ (ნიჟ.); შდრ. საბა: უღლის რიკი. შდრ. ლლონტი: 1. სიმინდის ტარო. 2. ქართული ხმლის ნაწილი. 3. კედელზე ან სვეტზე მისული ხის რიკი საკიდლად. 4. ურემზე დასასობი ბოძი. 5. უღლის შუაში ჩასმული რიკი. 6. ჩვილთ უკანა ტანი. 7. ტახტა უნაგირისა. აღნიშნლ მნიშვნელობათაგან ზემოაჭარულში კოტა სიმინდის ტაროს აღმნიშვნელად გვხვდება.

კოში- ყელიანი გოგრა, იყენებენ ღვინის ან წყლის ჭურჭლად ოჯახში: „თავვი მაზღარაში ვერ გამძრალა და **კოში** მუბამსო“ (ნიჟ.);შდრ. საბა: ხისა და გოგრის თასი. შდრ. ლლონტი: ყელიანი გოგრა.

ლაფერი-პატარა, ხის პრტყელი ნიჩაბი, რომელსაც იყენებენ კარაქის ასაღებად: „სადილათ ფხალი ჩავყარე,

არა მქონდა **ლაფერიო**:

წადი, ბაბოვ, სიძე ნახე,

ბლაყვია თუ **ლაფერიო**“

(ნიჟ.); შდრ. საბა: ბრტყელი კოვზი საჭმლის გასაყოფი. შდრ. ლლონტი: 1. ხის პატარა ბრტყელი ნიჩაბი, რომელსაც იყენებენ კარაქის ამოსადებად. 2. მოხარშული მსხლის საკეპი შენელების წინ. 3. წისქვილის ღარიდან წყლის გადასადგები.

ლეღმა-თბილი, ღრუბლიანი ამინდი. თოვლის დნობას რომ აჩქარებს: „იმფერი **ლეღმა** შედგა ამ თოვლ, რომ ვორ დღეში სულ გაქარვებს“ (ნიჟ.); შდრ.საბა: რა ბზარი თოვლი მზემ შეაღბოს. შრდ. ლლონტი: მზისაგან გამხვალა თოვლი, ყინული.

ლეშტერი-კოკისპირული წვიმა, ღვარი: „ ერთიც გეგხედე, რომ წამოვდა სირთეებზე **ლეშტერი**“ (ნიჟ.); შდრ. საბა: სეტყვს ღვარი. შრდ. ლლონტი: დალაქის დანა, ნეშტერი.

მონაგარი- მოგებული, მონაგები, შეძენილი: „ ამ ბეზირგანს, რაც მონაგარი თუარა ქონდა, თლიანად წაართვეს“ (ნიჟ.); შდრ. საბა: გარჯილობით ნაოვარი.შდრ. ლლონტი:შთამომავლობა, ცოლ-შვილი, ქმარ-შვილი, შვილიშვილები.

ნაგერალა-დაუთესავად ამოსული კულტურული მცენარეულობა-მოსავლის აღებისას მიწაში ჩარჩენილი თესლისაგან: „კარქა არ გუბარვან, თუარა, ამტონ **ნაგერალას** რა უნდოდა“ (ნიჟ.); შდრ. საბა: დაუთესლად მოსული. შდრ. ლლონტი: 1. დაუთესავად, შარშანდელ მიწაზე თავისით ამოსული მცენარეულობა. 2. ფუჭი, უვარგისი მარცვალი. 3. სიმინდის, ღომისა და მისთ. მოჭრისა და აღების შემდეგ მიწაში ჩაბნეული და ხელით აკრეფილი ტარო.

ჟვერი-ფოთლიანი რტო: „გეგმა თუ არ შესრულდა, ერთ **ჟვერ** თუთუნს არ გაგაყიდინებენ“ (ნიჟ.); შდრ. საბა: ფოთლიანი რტო. შდრ. ლლონტი: 1. ცუდი ბალახი, ერთად სქლად ამოსული. 2. მცენარის ფოთოლი საზოგადოდ. 3. ბრგე, დიდი, ახოვანი.

სკმა-ცემა, გალახვ: „გაბუცდი, თუარა, იმდონ **გისკვამ**, იმდონ, რომ ღვანთქეფ იგიყენებ ზრუქში“ (ნიჟ.); შდრ. საბა: დაკვრა. შდრ. ლლონტი: რტყმევა, ცემა, გალახვა.

უნასი-მსუნავი; სუსნია (ჩვეულებრივ საქონელზე ითქმის): „ტამაზლულათ მინდოდა შემენახა ჩემი ბუკნათელაი, მარა ძალიან უნასი ძროხაა, მემრენ და მემრენ წველას მუკლებს“ (ნიჟ.); შდრ. ლლონტი: 1. გველი. 2. პირუტყვის სალანძღავი სიტყვა.

უსკურა-სპილენძზე მალაღია თეფში, ფეხიანი: „ერთ უსკურა თხილში ერთი კარჭალი ურევია“ (ნიჟ.); შდრ. საბა: ესე არს ილეკროთავან ჯამნი ხუთნი, ანუ მეტნაკლები ეტოსა ლანკ ნასა ზედა, ღეროიანად ქმნული სხვადასხვა საჭმელთათვის. შდრ. ლლონტი: სპილენძის თეფში ფეხიანი.

ფეშხუმი-მრგვალი მაგიდა, დაბალი ტაბლასავით, ზოგჯერ ახლაც ფეხმორთხმით შემოუსხდებიან და ისე ჭამენ ფეშხუმზე. შდრ. საბა: თეფში. „პანა სუფრას ფეშხუმ ეტყვიან, თუ ძვირფასი სტუმარი იყო, ფეშხუმზე სინს დადებენ და იგზე ღუნყობენ შაჭმელ“.

ფია, ფიფინაი-რძის ან პურის ფეჭილის ფაფა (ბავშვის საჭმელი): „უძუძური ჩვილის შეჭამადი“ კოტაკი-ჩჩვილთ საჭმელი ფია“ (ნიჟ.); შდრ. საბა: ფია-რძის ფაფა, ბავშვის საჭმელია. შდრ. საბა: უძუძურის ჩჩვილის შეჭამადი.

ქანდარა-ჭოლოკი, ხარხა, რომელიც მიმაგრებულია სახლის გარეთა კედელზე, საბძელზე და მისთ: „მასზე დაკიდებენ გასახმობად თამბაქოს ფოთლების ასხმულს, ჩირს და სხვა. „ქორი თეთრი ჭანდარზეო, მონყენილი ქანდარზეო“ (ნიჟ.); შდრ. საბა: ფრინველის საჯდომი ლატანი. შდრ. ლლონტი: ქონდარა-საფეიქროს, საქსოვი მონყობილობის ჯოხი, რომელზედაც ჩამოკიდებულია თოკები.

ქეჩხო-1. ცხვრის ან თხის ტყავი. 2. შერქმეული სახელი, მეტსახელი კაცისა: „მამის ქეჩხო მოჰყვა ხელში, წამოიხურა და ებოში გავიდა“ (ნიჟ.); შდრ. საბა: მოქნილი ცხვრის ტყავის ბენვიანი. შდრ. ლლონტი: უბრალი ტყავის პარკი, ჩანთა ზურგზე მოსაკიდი ან მხარზე გადასაკიდი, რომელშიც საგზალს ინახავენ.

ღრამი-ღარი, ღარაკი ფიცრის კედელზე-პირშესმით საშენებლად, -ამოჭრილი, ამოკვეთილი, ამოტეფურული, ნაჭდევი (ნიჟ.); შდრ. საბა: სიგრძე უსივრცო, რომელ

არს ხაზი. შდრ. ლლონტი: ღრამი-ნაჭდევი, ღარი, ღარაკი ფიცრის კედელზე, ღურგლის იარაღია.

ყინტორა-ძალიან ცივი წყაროს წყალი: „მზე რომ დააჭყერდა კარქა, ჩთილ ადგილს მოვძებნიდით,ცოტაზე წავჭამდით და იქავენ **ყინტორას** დავაცხრებოდით“ (ნიჟ.); შდრ. საბა: წყაროს ყინული. შდრ. ლლონტი: 1. ქათამი, რომელსაც ყელზე ბუმბული არ აქვს. 2. მცენარეა ერთგვარი.

ჩახვი-„პარკი“ პატარა ტომარა,-თოფრა, ტომსიკა (ნიჟ.); შდრ. საბა: პარკი. შდრ. ლლონტი: პატარა ტომარა, პარკი, რომელშიც რძის პროდუქტებს განურავენ.

ხორგი-ქვიანი, ღორღიანი, ძნელად დასამუშავებელი მინა: „**ხორგიანი** მინა სამუშაოთ ჩეთინია, მარა მოსავალს არ გიმტყუნებს, ბოლოკი გასკდება პირდაპირ, კარქა ხარობს“ (ნიჟ.); შდრ. საბა: წყალთ ყინული დიდი მონატეხი. შდრ. ლლონტი: გორა, საზღვარი.

ჯოლგი-ხერგი, ჯორგი: „წამოვდა დიდი სელგაჰი და ხენდეკები სულ **ჯოლგით** ამუამსო“ (ნიჟ.); შდრ. ლლონტი: მდინარის ზედაპირზე მოტივტივე ხეები ერთად.

ამრიგად, ზემოაღარულ მეტყველებაში არაერთი ლექსიკური ერთეული გვხვდება: ჯოლგი, ჩახვი, ხორგი, ღრამი, უსკურა, ფია, უნასი, საილუსტრაციოდ წარმოდგენილი მაგალიტები გვიჩვენებს, ზემოაღარულ მეტყველებას დაუცავს ძველი და საშუალო პერიოდის ქართული ენის ლექსიკური ერთეულები. განხილული არქაიზმები თითქმის აღარ გვხვდება სალიტერატურო ენაში, ან სპორალებდ, თანდაან გადის სალიტერატურო ენის ლექსიკიდან.

თავი II

ლექსიკური დიალექტიზმები ზემოაჭარულ მეტყველებაში

ზემოაჭარულის ცოცხალი ხალხური მეტყველება, მსგავსად სხვა დიალექტებისა, ითვლება სალიტერატურო ქართული ენის ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროდ. [ნიჟარაძე, 1961: 130.]. ლექსიკონის ძირითადად და საყურადღებო ნაწილს წარმოადგენს ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც სპეციფიკურია აჭარული კილოსათვის, რომელთაც დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში, გამოქვეყნებულ დიალექტურ ლექსიკონებში პარალელები არ ეძებნება და ამის გამო ჯერჯერობით ამ კილოს საკუთრებად მოჩანან [ნიჟარაძე, 1971: 36].

ალაფი-საქონლის საჭმელ: „აჯათ წრეულ დიდი ზამთარი იქნება? შარშან ხმელი ზამთარი იყო და საქონლის ალაფი არ გაგვჭირვებია“ (ნიუ.); შდრ. ლლონტი: მეფევილე. (ფშ). ქეგლ: 1. ლაშქრობაში ნაშოვარი ქონება, 2. საქონლის საკვები, მარცვლეულისა და ფევილის ვაჭარი.

ალაგებში-ალაგი, ადგილი: „ნაჟამუარ ალაგებში შოფელში 2-3 სახლი დარჩა“ (ნიუ.).

ამძიხებული-აშმორებული, ამყრალებული, სინესტით გამონვეული სუნ: „ვინც ყურ მათხუებს, გამჩენმა ავაშემოთ; ერთი ძიგარდ მომანვეიეთ, თქვენი მადლისთვინ. თუთუნი მეც მაქვს, მაგრამ ისე ამძიხებულია, რომ არც მედნევა“ (ნიუ.).

არვანა-ჭილღის ნაწილი, გრძელი ხე, ოდნავ მოღერებული, უკანა ნაწილით შეერთებულია მაჭვასთან: „ჭილღა შედგება არვანაზგან. არვანა ჩარჭობილია ჭილღის ბუდეში. ბუდეზე ჩარჭობილია მაჭვა, მაჭვაზე დამაგრებულია კოტა“ (ნიუ.).

ახფუნი-ნაკელი, ნეხვი, პატივ: „ერთ პინკ შიშას ვერ ნახავ. ეიღებენ საქონლის ახფუნ, შიან ბზეს ურევენ, მემრენ ფეხით მოზელვენ კარქა, გაპტყელებენ და გუფენენ მზეზე, ზაფხულის სიცხეში ისე გახმება, რომ კინანალდასავენ გამაგდება“ (ნიუ.).

ბადალი-ჩვარი, ჭინჭ: „ჩასაცვამი არ ჰქონდა, ბადალებში იყო გახვეული“ (ნიუ.).

ბარსამხანია-ბარსამი, ბევრი, მრავალი: „ბარსამხანია რამაზანი აღარ დამიკავია“ (ნიუ.).

ბეგი-თავადი, ბატონ: „ახლა რომ მე ვცხოვროვ, ამფრათ ჩემი ნათქვამი ბეგი ვერ მაცხოვრებდა (ნიუ.); შდრ. ლლონტი: მინდორში შემალღებული ადგილი(მოხ), ქეგლ: გორაკი, ბორცვი. ზემოაჭარულ მეტყველებაში ბეგი მხოლოდ ბატონის, თავადის მნიშვნელობით გამოიყენება.

ბოჭოჭვაფი-ჭიანჭველა: „ერთი დედაბერი იყო სოფელში, და, იმან მოხარშა რაცხა ბალახები: პირბამბად, დვალურაიდ, გალესა ბოჭოჭვაფი, ჩამასხა ყურში და მომარჩინა, თურმინ ყურბელა ჩამძრომოდა ყურში“ (ნიუ.).

გაფიათება-გარება, ღია დატოვება, ფართოდ გაღება კარისა: „ძალო, ჭიშკარი რომ გააფიათე, ვერ დუძრავ“ (ნიჟ.).

გზაბანარად -ვინრო, საცალფეხო გზა: „გურიას აქიღამაც ჩედსლება. ჩემ დელიყანობაში აქიღან გედევლოდი სირთი-სირთ, ტყისი მტყე. ნათოცხვარიღან **გზაბანარად** მიდიოდა და ხალხი იქიღან გადადიოდა. ახლა შეიძლება მაშინადს გზაც კია გაყვანილი. ეს დუელი გზდეთ ძალიან აქცევს ყურადღებას“ (ნიჟ.).

გონჯი-ცუდი, ბოროტი, ავი. „თუ გინდა გონჯი არ იყო, სხვას არ გაუკეთო გონჯობა“ (ნიჟ.); შდრ. ღლონტი: უღამაზო, მახინჯი, ცუდი.(გურ), ქეკლ: მეტისმეტად უღამაზო, მახინჯი.

ღაგნებით-დაღაგებული, მწყობრი ღაპარაკი, გონებამახვილი საუბარი: „**ღაგნებით ვერ მოყყები**“ (ნიჟ.); შდრ. ღლონტი: წისქვილის ღინგად ან როხად დასაფქვავად მომართვა.

ღარე-ფერდი, ფერდობი, გვერდი: „მაგერ რომ **ღარეა**, იმ ალიგას მქონდა ძველი, ჯარგვალღინ სახლი, წამოვდა დიდი ღვარი და აქეთა კედაროს თღათ გამუნგრია ტუარი, ნახვარ სააჩი სულ ჩედმხლა სახლი“ (ნიჟ.).

ღაჩთიღვა-დაფარვა: „თუ ძირეუღის ღროს კარქა ვერ გამოამეჩხრეთ, მდერედის თოხნის ღროს გამოაკღეთთ სიმინთ.თუ ხშირი მოვდა, ერთმანეთ **ღუჩთიღეთს** და კარქ კოტუშ ვერ გედკეთეთს, ხუმჰალი სიმინდი გამუა“ (ნიჟ.).

ღვალურად-მრავალწლოვანი ბალახი. მის ფოთღებს, როგორც მხალს ისე იყენებენ: „ერთი დედაბერი იყო სოფელში, და, იმან მოხარჰა რაცხა ბალახები: პირბამბა, **ღვალურად**, გაღესა ბოჭოჭვავი, ჩამასხა ყურში და მომარჩინა, თურმინ ყურბელა ჩამძრომოა ყურში“ (ნიჟ.).

ღინნედ-დიდი ნენე, დიდეღა,ბები: „ჩემი **ღინნედ** იტყოღა, რომ მე ისიც მომესტრა,რომ ხალხი ბალახბულახ მოხარშევღა და იმაშ შჯამღა, მინა-ვაშღად და კოკომუავად რაა, და, იჰიც ენატრებოღა ხალხო“ (ნიჟ.).

დუძრაგ-დახურვა, მიხურვა: „ძალო, ჭიშკარი რომ გააფიათე, ვერ დუძრაგ“ (ნიჟ.).

კატარი-კენწერო, ხის წვერი: „წვერს -კატარი, ან სამწვერლო ჰქვია“ (ნიჟ.); შდრ. ლლონტი: კავკასიური ფიჭვი(იმერ,მესხ), სიმინდის ყვავილი(მაც), ქეგლ: 1.დენა, დინება. 2. კავკასიური ფიჭვი. 3. სიმინდის ყვავილი. 4. ხის წვერო, კენწერო.

კვირთავი-1. თითისტარის ბოლოზე წამოსაცმელი მრგვალი, ფირფიტისმაგვარი პატარა ხის რგოლი-სამძიმი. 2. მუხლის თავის პატარა მრგვალი ძვალი: „რაიფო?-კაპინი, კოთხო, კოდი, სელი, მარხილი, ლეკმარხილაფ, არაბაფ, სელი, ძარი, ჭილდა, უღელი, ბიგალი, ხერთალი, კვირთავი, ციცხვი და რა ვიცი, ყველა აღარმახსენდება, ხიდან ბეურ რამეს აკეთებენ ჩვენში“ (ნიჟ.).

კინწალდა-კრინისა და ილეკროს (ილეკრო- იწოდება ოქროსა, ვერცხლსა, სპილენძსა, რკინასა,ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანა ერთბამად) ნაღობი-მაგარი, მკვრივი, გაქვავებული: „ერთ პიწკ შიშას ვერ ნახავ. ედლებენ საქონლის აღფუნ, შდან ბზეს ურევენ, მემრენ ფეხით მოზელვვენ კარქა, გაპტყელებენ და გუფენენ მზემე, ზაფხულის სიცხეში ისე გახმება, რომ კინწალდასავენ გამაგდება“ (ნიჟ.).

კობერი-1. გაფშენილი, მარცვალგაცლილი სიმინდის ტარო,-ნაქუჩი. 2. კაკლის წენგო: „კობერს დავნაყო, დავანტრევო, ცხელ წყალში დავალბობო, ცოტა მარილ მოაპუკავო და საქონელ ვაჭმევო“ (ნიჟ.); შდრ. ლლონტი: მრვალწკრივიანი ქერი.(რაჭ)

კოტუმი-სიმინდის ტარო: „თუ ძირეულის დროს კარქა ვერ გამოამეჩხრეთ, მდერედის თოხნის დროს გამოაკლეფოთ სიმინთ .თუ ხშირი მოვდა, ერთმანეფ დუჩთილეფს და კარქ კოტუმ ვერ გეგკეთეფს, ხუმპალი სიმინდი გამუა“ (ნიჟ.).

კუკუტი-მაჭვის თავი: „კოტა მაჭვის კუკუტის ახლოსაა“ (ნიჟ.).

კუტი-ლამბა-იგივეა, რაც ფეჩატაფ-ხელში საჭერი უშუშო ლამპა, ჭრაქი: „კუტი-ლამბას ვხმარობდით, ან კვარს ვანთებდით“ (ნიჟ.).

მაჭვა-ჯილდის ბუდეში ჩარნობილი მრგვალი ხე, რომელსაც უერთდება გვერდით გამოშვერილი სახელური, კოტა: „ჯილდა შედგება არვანაზგან. არვანა ჩარჭობილია ჯილდის ბუდეში.ბუდეზე ჩარჭობილია **მაჭვა**, მაჭვაზე დამაგრებულია კოტა“(ნიჟ.).

მოპუპკვა-მოყრა: „კობერს დავნაყო, დავანტრევთ, ცხელ წყალში დავალბობთ, ცოტა მარილ **მოაპუპკავთ** და საქონელ ვაჭმევთ“(ნიჟ.).

მოფლატვა-მონგრევა, ჩამონგრევა, ჩამოზავება (კლდის...): „ასე წარნაქივინ რომ ყირმიზი ლიანქერი მოდის, თიებში ხომ არ **მოფლატულა** ნეტად?“ (ნიჟ.).

ნამსხმანი-ადამიანის სხეული,ტანი: „ამ დროული მევეარე და თავი არ წამომტკენია, მარა წრეულ რაცხა შემვიდა **ნამსხმანში**, ფერცხები მტკივა“(ნიჟ.).

ნაჭურტალა-ქსოვილის ნაჭერი, ნაკუნი, ჭინჭი: „თურმი ფაჩაურები, **ნაჭურტალები** გამიეხვია მორჩაში“(ნიჟ.).

პანკი-წვრილი, ხმელი ტოტი, წვრილი ფიჩხი: „ერთ **პინკ** შიშას ვერ ნახავ. ეილებენ საქონლის აღფუნ, შდან ბზეს ურევენ, მემრენ ფეხით მოზელვენ კარქა, გაპტყელებენ და გუფენენ მზეზე, ზათხულის სიცხეში ისე გახმება, რომ კინანაღდასავენ გამავდება“ (ნიჟ.).

პირბამბა-ვერისტერფა. ამ მცენარეს იყენებენ სამკურნალოდ: „ერთი დედაბერი იყო სოფელში, და, იმან მოხარშა რაცხა ბალახები: **პირბამბა**, დვალურად, გალესა ბოჭოჭვავი, ჩამასხა ყურში და მომარჩინა, თურმინ ყურბელა ჩამძრომოდა ყურში“ (ნიჟ.); შდრ. ლლონტი: ჯორი ქუსლა(ქართ).

ყიყინად-სუდრო: „ყიყინად რომ დეგვემართებოდა, მედტანდენ დედაბრები მაშრაფს (ნიჟ.).

სამწვერლო-სიმინდის მცენარის წვეროზე გამოღებული ტვავილი, თავთავი, კატარი: „წვერს -კატარი, ან **სამწვერლო** ჰქვია“ (ნიჟ.).

სელი-ბორბლიანი მარხილი,ორთვალიანი: „რაივო?-კაპინი, კოთხო, კოდი, **სელი**, მარხილი, ლეკმარხილად, არაბად, სელი, ძარი,ჯილდა, უღელი, ბიგალი, ხერთალი,

კვირთავი, ციცხვი და რა ვიცი, ყველა აღარმასხენდება, ხიდან ბეურ რამეს აკეთებენ ჩვენში“ (ნიჟ.).

ფერცხები-ნეკნები: „ამ დროული მეცყარე და თავი არ წამომტკენია, მარა წრეულ რაცხა შემვიდა ნამსხმანში, **ფერცხები მტკივა**“ (ნიჟ.).

ქუნჩალი-სიმინდის ტაროს ანაძრობი ფოთლები-ფუჩიჩი: „კუტუშ რომ გარჩევენ, **ქუნჩალი** დარცება.ყანა რომ მუა, კოტუშიანა მოვჭყრით და მერე მუაცილვეფთ მას ჩალას“ (ნიჟ.).

ქუსვა-ძარცვა: „უკან რომ დავბრუნდებოდით არდაჰანიდან, ზგაში ყოველთვინ შიში გვექონდა, **ქუსავებ** არ გიეჭუცენ; აქიდან საშიში იყო მგზავრობა“ (ნიჟ.); ქეგლ: ბანლის, ბენვის, ხაოს ცვივნა.

შანდამები-სასანთლე: „სანთელი **შანდამებში** იყო ჩადებული, სოფელში 2-3 კაც შდეძლო სტუმრისთვინ რომ ღამე გეეთეფია“ (ნიჟ.).

შეთაკრვა-გარკვეული წესით დალაგება, დანყობა-შელაგება, შეწყობა: „ამას ეტყვიან თეფგ: მემრენ **შეთაკრვენ** ენგურასავენ და თელ ზამთარ იმა იმა წვავენ: იმით აკეთებენ შაჭმელ, პურს აცხოებენ“ (ნიჟ.).

ჩაკლეტვა-ჩაკეტვა: „დედამთილმა აგი გეიგო, **ჩეიკლიტა** კარებიო“ (ნიჟ.).

ჩეგმხლა-ჩადრეკა, ჩანგრევა, ჩაქცევა: „წამოვიდა დიდი ღვარი და აქეთა კედაროს თლათ გამუნგრია ტუარი, ნახვარ სააჩი სულ **ჩეგმხლა** სახლი“ (ნიჟ.).

ჩოროთანი-სითხე ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილი: „ვინც(ნიჟ.).

ციცხვი-დიდი ხის კოვზი: „რაივო?-კაპინი, კოთხო, კოდი, სელი, მარხილი, ლეკმარხილაჲ, არაბაჲ, სელი, ძარი,ჭილღა, უღელი, ბიგალი, ხერთალი, კვირთავი, **ციცხვი** და რა ვიცი, ყველა აღარმასხენდება, ხიდან ბეურ რამეს აკეთებენ ჩვენში“ (ნიჟ.); ქეგლ: 1. ხის დიდი კოვზი, საჭმლის მოსამზადებლად, ამოსაზღელად. 2. ლითონის დიდი ჭურჭელი, გამდნარი ლითონის გადასატანად. 3. ექსკავატორის მუშა ნაწილი, დაკბილული (ლითონის) ნაპირის მქონე ლითონის ყუთი მიწის მოსათხრელად.

ძარი-პატარა მარხილი: „რაივო?-კაპინი, კოთხო, კოდი, სელი, მარხილი, ლეკმარხილაჲ, არაბაჲ, სელი, **ძარი**, ჯილლა, უღელი, ბიგალი, ხერტალი, კვირთავი, ციცხვი და რა ვიცი, ყველა აღარმასხენდება, ხიდან ბეურ რამეს აკეთებენ ჩვენში“ (ნიჟ.);
შდრ. ლლონტი: წვრილი წნელისაგან დაწნული საქათმე; 2. წნელისაგან დაწნული ოთხ ბოძზე დადგმული სასიმინდე, ნალია (გურ), ქეგლ: 1. ურემზე გადასადგამად დიდი მოწნული სათავსო. 2. გოდორივით მოწნული მობრტყო სამწყდევნი, ფრინველისა და გოჭისა. 3. სასიმინდე ნალია.

ძირეული-სიმინდის ყანის პირველი ხენა, ან პირველი თოხნა: „თუ ძირეულის დროს კარქა ვერ გამოამეჩხრეთ, მეგრედის თოხნის დროს გამოაკლევთ სიმინთ. თუ ხშირი მოვდა, ერთმანეთ დუჩთილევს და კარქ კოტუშ ვერ გეიკეთევს, ხუმპალი სიმინდი გამუა“ (ნიჟ.).

ხუმპალი-განუვითარებელი, წვრილმარცვლებიანი სიმინდის ტარო: „თუ ძირეულის დროს კარქა ვერ გამოამეჩხრეთ, მიერედის თოხნის დროს გამოაკლევთ სიმინთ.თუ ხშირი მოვდა, ერთმანეთ დუჩთილევს და კარქ კოტუშ ვერ გეიკეთევს, ხუმპალი სიმინდი გამუა“ (ნიჟ.).

ჰიდამ-რა ადგილიდან, რომელი მხრიდან, რა გზით, საიდან: „თქვენ ჰიდამ მობრძანდით?“ (ნიჟ.).

ამრიგად, ზემოაჭარულს მოეძებნება ისეთი ლექსიკური დიალექტიზმები, რომლებიც ან მხოლოდ ზემოაჭარულ მეტყველებაში იხმარება, ან თუ სხვა კილოებში გვხვდება, განსხვავებული მნიშვნელობით. ესენია: **ფერცხები, ბოჭოჭვაფი, გზაბანარაჲ, უიუინაჲ, კინანალდა, დუძრაჲ, ჩაკლეთვა, დარე, ნამსხმანი, გონჯი.**

თავი III

ზანიზმები ზემოაჭარული მეტყველებიდან

როგორც ცნობილია, აჭარული დიალექტის ლექსიკური თავისებურების განმსაზღვრელია ისიც, რომ გვხვდება ზანურის სუბსტრატის კვალი. ზანიზმები გვხვდება აჭარული კილოს ლექსიკასა და ტოპონიმიკაში. ბუნებრივია, ასეთი ლექსიკური ერთეულები ისმის ზემოაჭარულ მეტყველებაშიც. თუმცა, ისე უხვად ასეთი ფორმები არაა წარმოდგენილი, როგორც გურულში.

ჩვენ მიერ მოძიებული მასალის საფუძველზე ზემოაჭარულ მეტყველებაში ისმის შემდეგი ზანიზმები:

ბაღიში-შვილიშვილი: „ბაღიში შვილზე უმფო საყვარელიაო, მართალი ყოფილა იცი?“ (ნიუ.).

ბურღლა-ბუმბული: „თლათ კაი თუ გინდა, ბატის ბურღლით უნდა გატენო ბაღიში“ (ნიუ.)

ჩორჩხი-მცენარის ტოტებისაგან გაკეთებული ცოცხი-ფოს, კალოსა და მისთ. დაგვა-დასასუფთავებლად: „ჩორჩხი შევკრავთ ბორჯღალა ტანებიდან“ (ნიუ.).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება აჭარულ და ქართველურ ენათა დიალექტების ურთიერთმიმართების საკითხზე. „აჭარული დიალექტის ლექსიკაში თანდათან დგინდება უძველეს ლექსიკურ ერთეულთა ფენა, რომლის შესწავლაც, შესაძლოა, დაგვეხმარება ფუძენის კუთვნილი ზოგიერთი არქეტიპის აღდგენაში [ნოლაიდელი, 2013: 4]. ამ რიგის ლექსიკურ ერთეულთაგან ზემოაჭარულ მეტყველებიდან შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი ლექსემა:

ახუპვა-ხელში აყვანა, ატატება. ახუპებული-ხელში აყვანილი. მოხუპვა-ანაოჭებით შეკვრა (ტომარაზე თავის ანაოჭებით მოკვრა, ტანსაცმლის სანელის ანაოჭებით შეკვრა). შდრ. სვან.ახუპე-ახუპე- 1. თავს უყრის, აქუჩებს. 2. ანაოჭებს.

კელობა-კოჭლობა: „ეს მგლის შეჭმული ხარები ოდნავ კელობენ ისეგავ“ (ნიუ.). ძველ ქართულშიც კელობა კოჭლობას ნიშნავს. „იგი კელობდა ბარკლითა მით“ ,

„ვიდრემდე თქვენ ჰკელობდით“ (აბულაძე). ქართველურ ენათაგან ქართული კოჭლის შესატყვისი გვექონდა სვანურშიც (ი-კლ-ი კოჭლობს), რომელიც ავლენს ქართული კლ (კელ) ძირის კანონზომიერ შესატყვისს. გამოთქმულია ვარაუდი, რომ მკლე/მოკლე ფორმები უკავშირდება კელ/კლ ზმნურ ძირს [ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 173].

ქუნჩალი-სიმინდის ტაროს შენაძრობი ფოთლები,-ფუჩიჩი: „კოტუშ რომ გაარჩევინ და განარჩიელაი დარჩება, იმა ქუნჩალს ვეტყვი“ (ნიჟ.). აჭარულში სიმინდის განარჩივი გარეკანის, ფუჩიჩის , აღმნიშვნელი სიტყვებია: ნაქურჩალი, ქუნჩელა, ქუნჯელა, ქუნთელა. ქართულ სალიტერატურო ენაში ამ სიტყვათა ძირებს (ქუნჩ, ქურჩ, ქუნჯ, ქუნთ) შეესატყვისება ძირი ქურც (ნა- ქურც- ენ -ი - ქერქი. ძირი ამავე მნიშვნელობით დასტურდება მეგრულსა და ლაზურში. ქურჩი ო. ქაჯაიას განმარტებულ აქვს, როგორც ქერქი, ბენჯიანი მოსასხამი (ქაჯაია). გურულისა და იმერულის მსგავსად, ქუნჩალა// ქუნჯელა// ნაქურჩალი ზანიშშია აჭარულში [ნოლაიდელი, 2013: 19].

ხაშარი-ტოტებშემოცლილი ჯოხი, რომელსაც ხვიარა ჯიშის ლობიოს მცენარეს უსობენ ბარდის შესაკავებლად: „**ხაშარი** რომ დიგისევი, - კატარი წვილევ ზეცაში“.

საერთოქართველურ არქეტიპადაა მიჩნეული ზემოაჭარული მეტყველებისათვის სახასიათო ორი ლექსიკური ერთეული-**ნერჩი და ერინჯი**. აჭარაში დედალ ხბოს დეკეულს, დეკნას, ერინჯს ეძახიან: ხბო ერინჯია; ერთ წლამდე დეკეული ერინჯი ხობოა, შემდეგ კი მოგებამდე-ერინჯი“ [სურმავა,1990: 8]. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ოთხფეხის, პირუტყვის და, საერთოდ, საქონლის მნიშვნელობით მეგრულში გამოიყენება ორინჯ¹ორჯ ფუძე. ამავე ფუძეს მეგრულის ბანძურ-მარტვილურ თქმაში ძროხის მნიშვნელობა ჰქონია [ქერქაძე, 1974: 70]. მეგრულში გამოიყენება ორინჯ¹ორჯ ფუძიდან ნაწარმოები მიმღეობა მარენჯი, რომელსაც ივ.ჯავახიშვილი უკავშირებს ქართულ არსებას და ვარაუდობს, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ორინჯისა და არსების აღმნიშვნელი მიმღეობის, მარენჯის ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსება [ჯავახიშვილი, 1937: 203].

აკად. ვ.თოფურიას აზრით, მეგრულში საქონლის, პირუტყვის აღმნიშვნელი ორინჯ\ორიჯ\ორჯ ფუძე მყოფადის მიმღეობის ორენჯის (სამყოფელის, სამყოფის) სახელცვლილებას უნდა წარმოადგენდეს [თოფურია, 1937:142].

ნ. ნოლაიდელის აზრით, ცხადია ერინჯი ზანიზმია აჭარულშიც. საგულისხმოა, რომ ივ.ჯავახიშვილი სიტყვა ერინჯს უკავშირებს სიტყვას ნერჩი. ნერჩი გვაქვს აჭარულ დიალექტშიც და ამჟამად იგი აღნიშნავს ჭურჭლის ძირს, ფსკერს. [ნოლაიდელი, 2013: 20].

ერინჯის მსგავსად სიტყვა ნერჩი ზანურშიცაა ცნობილი მეგრულში იგი ადგილი, მიწის ღვთაების სახელია. ახლა, ასევე, აღნიშნავს ფუძეს, ძირს, ჯარგვალის იატაკს [ქაჯაია 2000: 325].

მიწის ღვთება ნერჩთან დაკავშირებით სამეგრელოს ყოფაში მრავალი რიტუალი ტარდებოდა. ასეთ რიტუალს განეკუთვნებოდა ნერჩის ხვამას წესი, ან ნერჩის შელოცვა, რომელსაც სხვაგვარად ოჯუმაშხურს (ოთხშაბათის ლოცვას ეძახიან). აღნიშნულ საკითხზე ვრცლად საუბრობს ნ. ნოლაიდელი: ჩვენი დაინტერესება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ, თუ სახლს მიწის იატაკი არა აქვს, ნერჩი ხვამას შესრულება არ შეიძლება. ამას ადასტურებს სხვა რიტუალიც, რომელის ნერჩი პატინს ანუ მიწის ღვთაება ქალბატონ ნერჩის ეძღვნება. მის სახელზე ცხვება ლობიოს გულიანი პური, რომელიც იდება ნისორზე-ხის დიდ თეფშზე, იდგმება სახლის აღმოსავლეთ კუთხეში მიწაზე და ასე აღესრულება ლოცვა. ეს რიტუალები სრულდება მშობიარე ქალისა და ახალდაბადებული ბავშვის [ნოლაიდელი, 2013: 21].

სამეგრელოს გარდა დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც დასტურდება ეს ჩვეულებები, რომლებიც თავიანთი დანიშნულებით ნერჩისადმი მიძღვნილი მეგრული რიტუალის იდენტურია. იმერეთში იგი ცნობილი ყოფილა ფუძის გამოლოცვის, ხოლო გურიაში-ნერჩის მიგორების ან მიწის გაჯერების სახელით.

გურიაში გავრცელებული ნერჩის მიგორების წესიც ბავშვებს ეძღვნება. მშობლები, როგორც შვილის წარმომადგენლები ნერჩის წინაშე, ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე

დღის გასვლის შემდეგ, ოჯახში ინვევენ ბავშვის ამყვან ბებიაქალს და იმ ქალებს, ვინც ბავშვის დაბადებას ესწრებოდნენ. ბებიაქალი იღებდა სამ ცალ კაკალს და გააგორებდა იმ ადგილას, სადაც ბავშვი იწვა. ამის შემდეგ ბავშვს შემოავლებდნენ მამალს. ფრინველს შემდეგ დაკლავდნენ, შეწვავდნენ და დაიწყებოდა ნერჩის საპატივცემულო ქეიფი.

სვანური ყოფისათვის ტერმინი ნერჩი უცნობია.

ივ.ჯავახიშვილის ვარაუდით, დედამიწისა და ადგილის დედის ღვთაების სახელი ნერჩი ფუისეული ჯ-ს ჩ-დ ხშირად შენაცვლების შედეგად ნერჯისაგან უნდა იყოს მიღებული. სიტყვაში ნერჩი გამოიყოფა ძირი რჩ და თავსართი ნე. „ნე მდებდრობითი სქესის მიმღობის ოდესღაც ქართულში არსებული ფორმანტი ყოფილა“ [ჯავახიშვილი, 1937: 94]. რაც შეეხება რჩ ძირს, არ.ჩიქობავა მას უკავშირებს ქართულ რეც ძირს: ჭან.რჩ; მეგრული რჩ-დალაგება, დაფენა.ქართ: რეც - დარეცა , დაფენა. „კაი ონჯერე ქონურჩუ“ - კარგი სანოლი დაუგო (ჭან). „ნორჩალს ორჩანს“ - სარეცელს აგებს [ჩიქობავა, 1938: 261]. სიტყვა დარეცა ჩვეულებრივ ხმარებული სიტყვაა ძველ ქართულში: დარეცა-გაშლა, გაფენა, დაგება, დაფენა [ახულაძე, 1973].

ამდენად, ნერჩი (მიწის ქალ-ღვთაება) და ერინჯი (დედალი საქონელი), როგორც ნაყოფიერების გაგების მატარებელი სემანტიკურად უკავშირდებიან ერთმანეთს. ერინჯი ზანიშმია აჭარულში [ნოლაიძელი, 2013: 23].

ამრიგად, ზანიშმები გვხვდება ზემოაჭარულ მეტყველებაშიც: **ხაშარი, ქუნჩალი, კელობა, ახუპვა, ჩორჩხი, ბურღლა, ბადიში** და სხვა. თუმცა, ზანიშმები ისე არაა გავრცელებული ზემოაჭარულ მეტყველებაში, როგორც გურულში.

თავი IV

უცხო ენოვანი ლექსიკური ერთეულები ზემოაჭარულ მეტყველებაში

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ აჭარულმა დიალექტმა ერთგვარად განიცადა თურქული ენის გავლენა, რაც, პირველ რიგში, ლექსიკაში აისახა, რადგან ენის ყველაზე ცვალებადი ნაწილი ლექსიკაა.

აღსანიშნავია, რომ თურქულ-არაბულ-სპარსული წარმოშობის სიტყვები გვხვდება უმთავრესად მოხუცთა მეტყველებაში და ისიც ზოგჯერ მშობლიური ქართული წარმოშობის სიტყვების პარალელურად [ნიჟარაძე, 1961: 134.].

თურქიზმები

აღა-ბატონი: „ერთი დღე ამ ქალ შეხდება ერთი აღას მოსამსახურე და ძალიან მიეწონება ეს ქალი“ (ნიჟ.).

ახისხილა-ახალციხის სახელი-ახალციხე: „ხიზარი უნინ არ იცოდენ, ახისხილამ გადმუტანიან პირველად ხიზარი ჩვენში“ (ნიჟ.).

ბაგრამი-მუსლიმანური რელიგიური დღესასწაული: „ტკბილეულობას ან ხორცეულ ბაირამ დღეს თუ ვშჷამდით“ (ნიჟ.).

ბეთმეზი-ხილის წვენი, დადუღებული თაფლივით სქელი და ტკბილი: „სხალ ზოგ ბათუმ გავყიდით, ზოგ ლეჩრად მოადუღებთ, ან ბეთმეზად დავწურავთ, ქლიავს გავახმობთ და ყაფსათვას გავაკეთებთ“ (ნიჟ.).

დელი-გადარეული, გიჟი: „დედ-მამას რომ გამიეღვიძება და შვილს გასისხლიანებულს დეინახავს, დელივით ღრიალს დეინყებენ-ეს ვინ დავგვლუპაო“ (ნიჟ.).

დელიყანლობა-მონიფულობა, სრულასაკონება; ახალგაზრდობა: „გურიას აქიღამაც ჩეისლება. ჩემ **დელიყანობაში** აქიღან გედევდოდი სირთი-სირთ, ტყისი მტყე. ნათოცხვარიღან გზაბანარაი მიდიოღა და ხალხი იქიღან გადადიოღა.ახლა შეიძლება მაშინაის გზაც კია გაყვანილი. ეს დუელი გზიეფ ძალიან აქცევს ყურაგდებს“ (ნიჟ.).

დურღუნი-ღინჯი, წყნარი, აუჩქარებელი-ღარბაისელი აღამიანი: „შეხეღავ, ერთი ღინწველა ბაღვია, მარა, ძალუან **დურღუნი**, ჭკუა დამუღარია“ (ნიჟ.).

ეში-ტოლი, მეგობარი, ამხანაგი: „თრამეტი წლის გოგო ვარ, ნეტა, საქმე რაშია? ჩემი **ეშები** გათხოვდენ, მე კი ვზივარ სახლში“ (ნიჟ.).

თაფანი-შენობის ნაწილი; არე- სხვენსა და სახურავს შორის. სხვენსა და ჭერს შორის: „**თაფანს** ნაბურავსა და ჭერს შუა ადგილ გეტყვით“ (ნიჟ.).

თალაში-შრომა, გარჯა, ჯაფა, მცდელობა: „დეღამთილო, ჯავრი ნუ გაქვს, ნუ გაქ მისი **თალაშიო**“ (ნიჟ.).

თენეჯა-თუნუქის ჭურჭელი ნავთის ჩასასხმელად,-სანავთე: „ნიკოლას ღროს მეგვიდევდით ბათუმიღან ყაზიღლით სამსე რუა-ოყიან **თენეჯას**“ (ნიჟ.).

თირღვანი-თრიღვანი-ცელი: „ძუელად ჩუენში ცელი იცოდენ, მემრენ თირღვანიც შემოიღეს. ცელით ორნავე კუთხიღან თიბვენ, **თირღვანი**თ კი- ერთი მფხრივ. ცელს უმფო სტორი პირი აქ. თირღვანს-ამოკაკული“ (ნიჟ.).

ოღა-ოთახი: „მემრენ დეღამთილი წეიყვანს ჯერ მის სამზარეულოშ და მემრენ იმ **ოღაში**, რომელიც დეღოფლისთვინაა მორთული“ (ნიჟ.).

რამაზანი-მარხვა (მუსლიმანური): „ბასამხანია **რამაზანი** აღარ დამიკავია“.

საჯი-თუნუქის ნაჭერი, რომელსაც კეცს ახურავენ, ნაკვერცხლის დასაყრელად: „შავშეთ ჭად ასე აცხობენ: გაახურებენ ორ კეც, ერთ კეცზე ჭად დაკარავენ, მიერებე დაამფხობენ ზეღან და ხელათ გამონწინდება ჭადი. ჩუენში კი კეცს კეცზე კი არ დაამფხობენ, კეცზე **საჯს** წაახურვენ და ზეღან ღველფიან ნაკვერცხალ დააყრიან“ (ნიჟ.).

სირთი-მთა, ქელი: „გურიას აქიღამაც ჩეისლება. ჩემ დელიყანობაში აქიღან გედევლოდი **სირთი-სირთ**, ტყისი მტყე“ (ნიჟ.).

ტაია-ბიძია, დედის ძმა: „ღმერთმანი შენ კაცმა არდა დეგელაპარიკოს, ხანდხან გევიარ **ტაიას** სახლში, რა იქნება, ასე იქნება ხისიმობა“ (ნიჟ.).

ფაჩაურება-ჩვარი, დასტამალი: „თურმი **ფაჩაურები**, ნაჭურტალები გამიეხვია მორჩაში“ (ნიჟ.).

ფალაჭა-პური-იგივეა, რაც ბუმბრუჭი, ფუმფურუტი: „წვითი ფურნიები იქ ყველა ოჯახშია და იმაში აცხოხენ. ვინცხა რომ შეძლებულია- კაი მცხოხელია. ის შეშას შავშეთიდან მოატანიებს და **ფალაჭა** პურს აცხოხს“ (ნიჟ.).

ფუნჯული-სიმინდის ულვაშები, ქოჩორი: „ყანაში ლევენდიც გამიერევა-ზოგიერთი სიმინდი კოტუმ არ გეიკეთებეს. კოტუმ ულვაშივინ რომ ამუა, იმა **ფუნჯული** ქვია, ზოგი ფერჩიმს ან ფიმფილს ეტყვის“ (ნიჟ.).

ყაზიალი-ნავთი: „ყაზიალი აგერ ახლა შამოვდა, რუსების დროს. თუ ცოტა შეძლებულად ცხოვრობდა კაცი-ჰანაი ქონიარე იყო, ის სტუმარ სანთელ დუნთებდა“ (ნიჟ.).

ყაზმა-გრძელი თოხი: „ყანას დავგოროხავთ, გოროხ მოვფუმნით **ყაზმაით**-ერთია ერთნაირი“.

ყამა-სატეგარი, ორლესული: „ბიჭო, წელზე რაფერ გშვენის, ვინ გაჩუქა **ყამაო**. ნეტად, როდის მელირსება ქმრის ნაყიდი კაბაო?“ (ნიჟ.).

ყაღსაფა-ჩირის შეჭამადი, ჭანჭურის ჩირს მოხარშავენ და შაქრით შეზავებულ, დანაყულ ნიგოზს მოაყრიან: „სხალ ზოგ ბათუმ გავყიდით, ზოგ ლეჩრად მოადულებთ, ან ბეთმეზად დავწურავთ, ქლიავს გავახმობთ და **ყაღსაფას** გავაკეთებთ“ (ნიჟ.).

ყახმა-ლამფა; „ახალი სახლი გევეკეთე, შამოაყოლე **ყახმებით**, მოდი, გოგო, მაკოცნიე, ჩემი ცოდვით გახმებით“ (ნიჟ.).

ჩურუგაჟ-ივლისის მეტსახელი: „**ჩურუგაი** რომ დადგება, სულ თავი ტკივა“ (ნიჟ.).

ხიზარი-დიდი ხერხი: „ხიზარი უნინ არ იცოდენ. ახისხილამ გადმუტანიან პირველად ჩუენში“ (ნიჟ.).

არაბიზმები

დუელმა- სახელმწიფო, სამეფო: „ამ დუელმა ხაშმი აჰსნია, ცხრო აღარაა ჩუენში“ (ნიჟ.).

ვესიეთი- ანდერძი: „ჩემიდან იყოს ამის ვესიეთი“ (ნიჟ.).

ზათი- ისედაც, ნამდვილად, მაინც, საერთოდ: „დამეხსენ, თუ კაცი ხარ, ზათი გახელეებული ვარ, შენაც ბელანა მანახვიო ახლა“ (ნიჟ.).

თაბალი - ლანგრის მსგავსი თეფში, - თაბახი.

თაბიეთი - ხასიათი, ბუნება, ზნე, ნირი, ჩვეულება: „ძალიან გონჯი თაბიეთისაა“ (ნიჟ.).

თაბუთი- კუბო, საკაცე: „უნინ ინახებოდა მეჩეთში, მიცვალებულს ჩვეულებრივ თაბუთში ჩაასვენებდნენ მანამ, სანამ ჭირისუფალი საკუთარ კუბოს არ გააკეთებდნენ“ (ნიჟ.).

თავსალამეთაჟ- კაცი, რომელიც ერიდება აურზაურს, აყალ- მაცალს.

თალუმი- სამხედრო ვარჯიში, წრთობა.

თამამი- ასაკურული, სრულწლოვანი, სქესობრივად მომწიფებული (ვაჟი), შეღერებული, მოწიფული.

თამაში- ცეკვა, სამა: „სამ დღედაღამეს არ შეწყვედილა სამა- სიმღერა, ცეკვა- თამაში“ (ნიჟ.).

თახეთი- ძალა, ძალ-ლონე, არაქათი, ილაჯი, ჯანი, ქანცი: „ერთხანათ სულ გამომელია თახეთი, იბტაჰიც დამეკარქა, მარა ახლა ღმერთს მადლობა გამოვბრუნდი“ (ნიჟ.).

თახშირი- ძვ. თურქეთის დროინდელი გადასახადის ერთ-ერთი სახეობა რევოლუციამდელ აჭარაში: „მოგშორდებათ რუსმატი, თახშიდი და თუნდ აშარი“. „რაც ოსმალოს დროს თახშირი იყო, იმაზე მეტი არ გადახდება“ (ნიჟ.).

თაჯი-თაჯის დადება საქონლის საკუთრების გამოსახატავად, ნიშანდება, დადალება, თალის დაკვრა: „**თაჯს** ადებდნენ საქონელზე, სამშენებლოდ დამზადებულ გათლილ ხეზე, ტყეში ხეზე „გასაცოცხლებად“ შემოდგმულ სკაზე და სხვა... ძველად თაჯი თოხუმის (გვარის) ნიშანს წარმოადგენდა, რომელიც 7 გობეგის (თაობის) შემდეგ უნდა შეცვლილიყო“ (ნიჟ.).

თევზე-მუს. თავის შეცდომის ცნობა, და დაგმობა, შეცდომის აღიარება; მონანიება; პირობის დადება შეცდომის გაუმეორებლობის შესახებ: „მივდა ხოჯამ უთხრა, თურმე, ბიჭო, ყველა **თოვზე** ქენი“. „დღეიდადღეის იქით **თევზე** ... ყუმარს აღარ ვითამაშებ!“ (ნიჟ.).

თელღალი-1. დაღალი, მაკლერი, შუამავალი. 2. საჯარო გამოცხადება, სახელმწიფო საზოგადო საქმისათვის ხალხის მოხმობა: „ახლა ორი თვის ბაღვიც ავათ რო გახდეს, **თელღას** მოდებენ, ხელათ დოხტორს დაუძახებენ“ (ნიჟ.).

იბრეთი-უჩვეულო, უცნაური, საკვირველი, საშინელი: „ი მამალი მართლა რომ **იბრეთი** რამეა, მეზობლის მამლებს სულ სისხლი დადინა“ (ნიჟ.).

ილლე-აუცილებლად, უთუოდ, უეჭველად.

ინადის განწევა-ჯიუტობა, ჯიუტობის განწევა, ქიშპობა, ქიშპობის განწევა: „**ინადის განწევა** ძალზე კიდიანო“ (ნიჟ.).

ინსანი-ადამიანი, კაცი: „თვარეა თუ მარსკლავია, არ მგონია **ინსნიდანა**“ (ნიჟ.).

იფთარი-მუს. რამაზანში დღისით მარხვის შემდეგ სახსნილოს მიღება, პირის ახსნა, ჭამის დანყება, იფთარის მიღება შეიძლება ჩვეულებრივ მზის ჩასვლის შემდეგ, საღამოთი: „თოფანმა შეამონმა **იფთარის** დრო არის თუ არაო და პირი წყლით გაიხსნა“ (ნიჟ.).

იყაშმერებს-იოხუნჯებს, ოხუნჯობას მოყვება, - იხუმრებს, იმასხრებს.

იშტაჰი-იშტა, მალე, მონდომება: „რა მიჭირს, ერთი ახალგაზრდას კიდვენ ვჯობივარ ძალაშიც და **იშტაჰშიც**“ .

იშმარი-ნიშანი, თვალით ან ხელით ნიშნება, პაროლი. „**იშმარი** რომ არ მიმეცა, ვერ გეიგებდა“.

კაზი-აბრეშუმის თხელი ქსოვილი - ქალის თავსახურავი, - შარფი.

ლაღაბი, ლაღუბი-გედმეტი, შერქმეული სახელი (ვისიმეს დაცვით, ან აბუჩად აგდების მიზნით) მეტსახელი, ნართული.

ლუხუმი-ხორბლის თეთრი ფეკვილის ნამცხვარი; თხლათ მოზელილ ცომს ააფუებენ, ღრმა ტაფაში მონვავენ საჭმელ ზეთს, აიღებენ ცომს ოდნავ მოუჭერენ მუჭით, საიდანაც ბუშტის ოდენა ცომი ამოვა, მონყვეტენ რამით და ჩააგდებენ დამწვარ ზეთში; გააჩერებენ მანამ, სანამ ყოველი მხრიდან არ შენითლდება. ზოგჯერ გემოვნების მიხედვით ფხვნილ შაქარსაც მოაყრიან.

მაფი-ლურჯი, მაფი ფერი, ლურჯი ფერი.

მანღალი-ნახშირის გასაჩარებელი თავლია ღუმელი,-მაყალი: „აბა რა შეიდრება **მანღალზე** შემწვარ წაბლს“ (ნიჟ.).

მარაზი-ავადმყოფობა, სენი, სნება, კეთროვნება.

მაშრაფა-ლითონის პირღია, ყურიანი ჭურჭელი, - წყლის დასალევი, - ტოლჩა: „უიჟინად რომ დეგვემართებოდა, მეიტანდენ დედაბრები **მაშრაფას**“ (ნიჟ.).

მახასი-მაკრატელი: „**მახასი** და გონდები, წარეთ მომაგონდები“ (ნიჟ.).

მაჯუნი-ბრინჯის ფაფა, შაქრით შეზავებული ან თათუნარევი.

მეველუდი-მუს. რელიგიური დღესასწაული მუამედის დაბადების დღის აღსანიშნავად; მამაკაცის საკუთარი სახელი.

მეიკალიბებს-მოიმზადებს, მოიმარაგებს; დაილაგებს: „ზოგი ადრე **მეიკალიბებს** ალაფსა და პურს“ (ნიჟ.).

მეზაყიანი-მონდომებული, გატაცებული, მონადინებული; აზარტში შესული: „თუ პანად **მეზაყიანი** არ ხარ, ვეფერ ვერ გახთები“ (ნიჟ.).

მეისეფილებს-სანყალი. თავს **მეისეფილებს**, თავს სეფილად, საცოდავად მოაჩვენებს, ისე მოიქცევა თითქოს სეფილი იყოს, - თავს მოისანყლებს.

მელაიქი-ანგელოზი, ღვთის მოციქული, სილამაზის, სიმშვენიერის განსახიერება.

მელყუნი-წყეული, დანყველილი, არამზადა: „მოყვრობა კი არა, მაგ **მელყუნთან** ღრუბელიც არ მინდა საზიარო მქონდეს“ (ნიჟ.).

მელჰემი-სამკურნალო საცხი, სალბუნი, მალამო. „სოფელში ერთი ჯერრაჰი გყავდა, იმან ერთნაირი **მელჰემის** გაკეთება იცოდა, მარა არავის არ ასტავლიდა“ (ნიჟ.).

მემლექეთი-ქვეყანა, მხარე, კუთხე, სახელმწიფო, სამეფო, რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი **ღუნია** - **მემლექეთი**: „ხმლის სატევრით, თოფით, ერთი მეომარი მეორეს ებრძვის, კალმით მეომარი კი ებრძვის მთელ **ღუნია- მემლექეთს**“ (ნიჟ.).

მერაყი-დარდი, სურვილი, ჯავრი, მღელვარება: „მუდამ ამაზედ **ვმერაყოფ**, არ მეტყობა გარედან“ (ნიჟ.).

მინნეთი-ყვედრება, დამადლება; სხვაზე დამოკიდებულება - მუნათი: „ისე არ მოვსავლები, შენს **მინნეთზე** დაგ[რ]ჩე!“ (ნიჟ.).

მინქინი-შესმენა, დაჯერება, გაგება. არა მინქინით, არაფრის გულისთვის, არავითარ შემთხვევაში: „არას **მინქინით** არ მსურდა ქმარზე წაყოლა კიდევ“ (ნიჟ.).

ნაჯამვარი-ადგილი, სადაც წინათ ჯამე (მეჩეთი) იყო.

ნემრუდი-უჟმური, უხასიათო ადამიანი, თარსი, ნავსი.

ნესრანი-წყეული, არამზადა: „მაგ **ნესრანმა** კიდო გამოყო თავი ხალხში ხომ!“ (ნიჟ.).

ნუსხა-ცრუმორწმუნეთათვის შელოცვის ტექსტი, რომელსაც ცრუმორწმუნენი ატარებენ სამკუთხედად დაკვეცილს და გასანთლულ ქსოვილში შეხვეუს: „წიფლი ფოთელ **ნუსხას** დავწერ დამწიფული მოცვითაო“ (ნიჟ.).

ოპური-ოპური მიწა, საჯარო წესით დამუშავებული მიწა. მცირე მიწიანი გლეხი მეპატრონისაგან: „მიწას ოპურით იღებდა“ ეს უკანასკნელი მიწის მეპატრონეს საზღაურს ნატურით უხდიდა. საზღაურის ოდენობა დამუშავებელსა და პატრონს შორის წინასწარი შეთანხმების საუძველზე წესდებოდა“. **ოპურ მიწას** რომ დაამუშავებდი და სიმინდს მოტეხდი, 10 ქილეში ერთი ქილე პატრონზე უნდა მიგეცა“ (ნიუ.).

რაზი-თანახმა, კმაყოფილი: „ჰა კიდვენ გიმატებ თუმანს, **რაზი** ხარ?“ შენ თავთან თუ არ დამანვენ, საფერხესაც **რაზი** ვარ!“ (ნიუ.).

რახი-მაგარი ალკოჰოლიანი სასმელი, არაყი.

რაჰათი-რახათი - მოსვენება, დასვენება, სიმშვიდე, სინყნარე, მყუდროება: „ჩურუქსუს ჩამოგვეკიდა, აღარ მოგვცა **რაჰათი**“ (ნიუ.).

რედლი-უარის თქმა, უარყოფა; დაგმობა, დანყველა, შერისხვა, „**რედლი** მაინც გაუკეთე! - უთხრა ხოჯამ გონებააბნეულ მამას“ (ნიუ.).

რეჰინი-გირაო, წინდი: „თუ არ მენდობი, **რეჰინს** დაგიტიეფ“ (ნიუ.).

რიზყი-წილი, ულუფა, საზრდო, არსებობის საშუალება, სიკეთე, სიმდიდრე: „შენც ჰანაი გაანძრიე ხელი, ღმერთი ნუქათა კი არ მოგცემს **რიზყს**“ (ნიუ.).

რიშვეთი-ქრთამი: „ჰაჯი-ლუნკროს შევეხვენე, ფიშტოლი მომცა **რიშვეტში**“ (ნიუ.).

საბრი-მოთმენა, მოთმინება, გაძლება, ატანა: „ეჰ **საბრი** ქენ შვილო, ყველა სიკვდილის შვილები ვართ , უარესიდან დაგიფაროს ღმერთმა!“ (ნიუ.).

სადიყანე-ალალი, მართალი, ერთგული.

სალთანათი-ხელსაწყო, მონყობილობა, იარალი, იარალ-მანქანები, ავეჯი, ქონება, სიმდიდრე: „ახლა სოფლის თელი **სალთანათი** კოლეექტივშია გაერთიანებული“ (ნიუ.).

სახათი-დასახიჩრებული, საპყარი, ხეიბარი: „ერთი **სახათი** კაცია, მარა ხედავ რაფერ უძღვება ცოლ-შვილს“ (ნიუ.).

საჯენნეთო-რელ. მუს. მადლმოსილი. უცოდველი ადამიანი, რომლისთვისაც სიკვდილის შემდეგ ღია იქნება **ჯენნეთის** - საუკუნო სასუფევლის - სამოთხის კარები.

საჰანი-სალანი - თევში ჩვეულებრივ სპილენძის: „ხელში **საჰანი** უჭირავს და კარ და კარ დადის სიმინდის სათხოვნელად“ (ნიჟ.).

სებები-მიზები: „შენ რომ **სებები** არ გამხდარიყავი, ჩეიშლებოდა ეს საქმე“ (ნიჟ.).

სედეყე-მუს. ღარიბ ღატაკისთვის გაცემული წყალობა, მოწყალება, გასაკითხი: „შერიეთი ამბოფს, რომ მუსლიმანმა ქონების ერთი მეორმოცედი **სედეყეში** უნდა მიცესო“ (ნიჟ.).

სეისი-მეჯინიბე: „**სეისებო** ნუ გეშინიათ, ცხენი მომგვარეთ კარზედა“ (ნიჟ.).

სელავათი-მუს. ლოცვა, ნამაზი, სალავათი: „ხოჯა **სალავათს** აკითხებს, ღმერთი ერთია დიდიო“ (ნიჟ.).

სელამეთი-მშვიდობა, უვნებლობა, ჯამრთელობა, კეთილდღეობა: „ქალმა უპასუხა, რომ, მე ქმარი მყავს და იმას ვერ ვუღალატეფ, შენ წაი შენ გზაზე **სელამეთითო**“ (ნიჟ.).

სელამი-სალამი: „**სელამ** - ქალამს მოგახსენეფ წყლისაყრის ღელიდანა!“ (ნიჟ.).

სელგაჰი-წყალდიდობა, ღელეებისა და მდინარეების აღიდების შემდეგ ნათესებისა და სათიბების წალეკვა: „ერთჯელ წამოვიდა დიდი **სელგაჰი** და თლათ ყანიები წალეკა“ (ნიჟ.).

სემთი-მიმართულება, გზა, მხარე: „ზღვის **სემთით** იმფერი შავი ღრუბელი წამოვდა, რომ, ისეგავ, დარი უნდა შეიშალოს“ (ნიჟ.).

სემთიანი-მარჯვე, მოხერხებული, ხელსაყრელი, მისადგომი: „კაი **სემთიანი** ალაგია, სასახლეთ ივარგეფს, წყალიც უდგება და გზაც“ (ნიჟ.).

სეფა-ქეიფი, განცხრომა, ნებივრობა, დროსტარება: „არც ჭამა გვაკლდა და არც სმა, **სეფაში** ვიყავ გამშპარი“ (ნიჟ.).

სეტდე-მუს. ღვთისადმი თაყვანისცემის, ლოცვის ადგილი, სალოცავი პატარა ნოხი.

სიქიბრე-პრანჭვა, კუდაბზიკობა, მანჭვა-გრეხვა, მანჭიაობა; „ამდროულ კაცს არ შექმვენის მაქხელა სიქიბრე“ (ნიჟ.).

სოხბეთი-მშვიდი ლაპარაკი, მუსაიფი, ბაასი, საუბარი, ბჭობა.

სუფრა-დაბალი, მრგვალი მაგიდა, ფართო ფეხით, პურის საჭრელი მაგიდა, ტაბლა.

უბერეყეთო-რასაც ბარაქა, ხვაფი არ აქვს, უბარაქო: „თუ წვიმიანი ამინდები წავიდა, მოსავალი უბერეყეთო, უხვავო იქნება“ (ნიჟ.).

უთაბიეთო-უხასიათო, მძიმე ხასიათის მქონე, გაუტანელი, უპირო: „ცოტა უთაბიეთოა, თუარა, ისე ქალი ვერ აჯობებს“ (ნიჟ.).

ურაჰათო-მოუსვენებელი, დაუსვენებელი, სიმშვიდეს მოკლებული.

უსულით-ნელა, წყნარად, შეუმჩნევლად, ფრთხილად, მორიდებით: „ი ცოცხი ნელა იხმარე, უსულით“ (ნიჟ.).

უშექილო-ულამაზო, უშნო, უმარილო, შეუხედავი: „ცოტა უშექილოა, მარა ხასიათში ქალი ვერ აჯობებს“ (ნიჟ.).

ფალაყა-ფიჭიანი გამოუნურავი თაფლი, გოლეული, ხილარი:

„იქნებ ღალატი არჩია

ასეთ გვემას და ფალაყას?!

წავიდა, გაჰყვნენ მხლებლებიც,

აი მიაღვნენ ალაყათს“ (ნიჟ.).

ფუხარა-ღარიბი, ღატაკი: „ეს თავრობა ფუხარა ხალხს ყურადღებას აძლევს, ოსმალით კაცი ჭამლევ ეძახდნენ“ (ნიჟ.).

ქაფირი-ურჯულო, უღვთო, ურწმუნო, გიაური:

„დანერა და

მყისვე შულტა მოიხმო

- ან ხელში მყავს

სულიმ ფაშა ქაფური“ (ნიუ.).

ქელფეთი-გაზი, მარნუხი: „ჰექიმი კი არა, ჯელლათი ყოფილა: დამადვა ტკივანა კბილზე დაჯანგული ქელფეთი და ჰიდამდი არ ამომგლიჯა, ჩემი კვილი ცაში მიდიოდა“ (ნიუ.).

ქეფილი-თავმდები, ქომაგი: „დაგველებს რომ დიგვიჭირვენ, ვინ დაგიდგებათ ქეფილი“ (ნიუ.).

ღედრობა-დაუნდობლობა, ღადრობა, ვერაგობა, ღალატი, გაუტანლობა.

ყადი-მუს. მაღალი თანამდებობის პირი-მოსამართლე, მსაჯული რევოლუციამდელ აჭარაში; ყადი იჯდა სანჯახში მუთესერიფის გვერდით და წყვეტდა სამოქალაქო და სასულიერო საკითხებს. ყადი დანიშნული იყო აგრეთვე ყაიმაცამთან მამრაში: „საქმის გარჩევა სიტყვიერია... ამ მაჰმადიანური კანონის თანახმად ირჩევა ყადის მიერ“ (ნიუ.).

ყათრანი-კუპრი, გუდრონი: „დასობამდე დირეგებს ძირში ყათრანს წუესვამთ, არ დალპება“ (ნიუ.).

ყანეთი-ფასი, ღირებულება, დაფასება, მნიშვნელობა, ყადრი, მომჭირნედ, გამოზოგვით ხარჯვა, მომჭირნეობა.

ყისმეთი-ბედი, ილბალი, ხვედრი: „აჰა, ესეც შენი ყისმეთიო“ (ნიუ.).

ყირმიზი-წითელი: „ასე წარნაქვიან რომ ყირმიზი ლიანქერი მოდის, თიებში ხომ არ მოფლათულა ნეტაი?“ (ნიუ.).

შერბეთი-ტკბილი სასმელი, შარბათი: „მახარობელ მიესალმებიან და თითო სტიქან შერბეთ დაალევიებენ“ (ნიჟ.).

ხარდალი-ყურძნის ან მსხლის წვენი: „ზაფხულში რა ჯობია ხარდალს!“ (ნიჟ.).

ხისიმი-ნათესავი, შორეული ნათესავი: „ღმერთმანი შენ კაცმა არდა დეგელაპარიკოს, ხანდიხან გევევარ ტაიას სახში, რა იქნება, ასე იქნება ხისიმობა?“ (ნიჟ.).

ჯეიზი-მზითვეი: „გოგოს მშობლები ქალს გაატანებენ ტანისამოს, შკაფ, სტოლ, სკამეფ, ნოხ და მისთ. ამათ ჩვენ ჯეიზ ვეტყვიო“ (ნიჟ.).

ჯევეჭერი-ელვარება, ბრწყინვა, ბზინვა: „იმნაირი ჯევეჭერიანი შეხედულობის კაკალი კაცი იყო ჩვენში“ (ნიჟ.).

ჯინსი-ჯიში, ჯილაგი, გვარი, ტომი, შთამომავლობა: „ჩვენში სხვადასხვა ჯინსის სიმინდი მოყავთ; ესენია: ბროლაი, ქორიბუდაი, წვეტაი, ბეჩაი, ალაზანაი, ჯორიელაი, ალთუნაი, გროზნო“ (ნიჟ.).

ჯუმა-პარასკევი, უქმე, ამ დღეს ჩვეულებრივ მუსლიმურ ქვეყნებში არ მუშაობენ: „პარასკევი ჯუმასაც ვეტყვიო ჩვენ. უნინ ჯუმა-დღე დასვენების დღე იყო-ჯუმის ლოცვის დღე: ახლა დასვენების დღე კვირა დღეა“ (ნიჟ.).

სპარსიზმები

ახორი-ბოსელი: „ე თარა გამშება-გამომშება, მაგ ექს თვეში შეჭამ, წრეულადაც დაგირჩება ახორი გუკეთებელი“ (ნიჟ.).

ბენდი-იგივეა, რაც სათავანო: „ამწახანებად რაცხა ძალიან იკლო წისქვილის წყალმა, ერთი ვირბინე ბენდზე, წყალი გადაშვებული არ იყოს“ (ნიჟ.).

დოლაბი-წისქვილი, წისქვილის ქვა, 2.კარადა, ზოგჯერ კედელში დატანებული განჯინა ჯამ-ჭურჭლის შესანახად.

დოსტი-მოყვარე, ნათესავი, მეგობარი, ამხანაგი, ნაცნობი: „შენ, როგორც ჩემს, კარგ დოსტს... სამ-სამ თუმნად დავითმობ“ (ნიჟ.).

ვერანა-ოხერი, მანანნალა: „ერთ ხენწიფესთან მარჩიელი მივდა და უთხრა, რომ შენ გასათხუარ ქალიშვილ ცოლათ ითხოვს ერთი ქურთის ბიჭი, ვინცხა ვერანა ბლარტიო“ (ნიჟ.).

ზოული-ყოჩალი, მამაცი, მარჯვე, წარმოსადეგი; „აგერ ვამბოფ, მაგ ბაღვ ზოული ამვერილი აქ თავი, ნახე, მაი თუ არ შეესტრობა ბელაში“ (ნიჟ.).

კოშკი-სახურავიანი აივანი: „ზაფხულში ჯალაბი მომეტებულ დროს აქ კოშკში ატარებს: ართავს, ქსოვს, მატყლსა სთელავს, ლობიოს არჩევს და სხვა“ (ნიჟ.).

ლეგენი-ლაგანი, პატარა ტაშტი (ხელ-პირის დასაბანად): „ჭამის წინ სტუმარს ლეგენს მუუტანებენ, თბილ წყალ და ხელ დააშვენებიებენ“ (ნიჟ.).

ლეჩრად-ხილისგან მოდუღებული ტკბილი წვენი: „სხალ ზოგ ბათუმ გავყიდით, ზოგ ლეჩრად მოადუღებთ, ან ბეთმეზად დავწურავთ, ქლიავს გავახმობთ და ყდისაფას გავაკეთებთ“ (ნიჟ.).

მირიგზა-შარა-გზა, სახელმწიფო გზა, გზატკეცილი: „ამ მირიგზას ხომ უყურებ ეს ნიკოლას ჯარმა გეიყვანა ხალხის დახმარებით“ (ნიჟ.).

ნაჩარი-ცუდი, უვარგისი, მდარე, უგვანო, ორგული, ბოროტი: „ვითამ ეს გოგო რითაა ნაჩარი“ (ნიჟ.).

ნახანური-ადგილი, სადაც წინათ ხანა იყო გაშენებული: „ძველ, ნახანუარ ადგილზე ახლა კოპერატია გიეხსნათ“ (ნიჟ.).

ნახოჯვარი-ხოჯად ნამყოფი, ყოფილი ხოჯა

ნიშანი-ძვირფასი სამკაული სასიძოს მიერ საპატარძლოსთვის მირთმეული, რის შემდეგაც არც სასიძის შეუძლია სხვისი შერთვა და არც საპატარძლოს სხვაზე გათხოვება

ნიშანლობა-ვაჟის მიერ ქალის დანიშვნა, ნიშნობა; სასიძოს მიერ საცოლეს ნახვა ქორწილამდე და ცოლქმრული ურთიერთობის დამყარება: „**ნიშანლობის** ხანგრძლიობა ზოგჯერ სამ წელსაც კი აღწევდა და ქალი ქორწინზე ბავშვით მიდიოდა“ (ნიჟ.).

იაბანი-გარეული, მტაცებელი ცხოველი, მხეცი, ნადირი; უცხო, გარეშე.

იალღან-საზეთე, საქონე, იარაღის სანმენდი ზეთის ჭურჭელი ვერცხლის ან თითბრისა: „მოვერცხლილი ტყავის **იალღანი**, წელზე რომ ქონდა მოკრული, კიდევ უმფო მეტ შნოს აძლევდა“ (ნიჟ.).

ოთხქოშელა-**ღ**-ოთხი ქოშეს (კუთხის) მქონე, ოთხკუთხიანი, ოთხკუთხა.

რენდე-რანდა: „ფიცარს რენდით გავრენდავთ, გარენდვის მემრენ დარჩება ნარენდაღ“ (ნიჟ.).

ტუარი-ქვის კედელი, ფუნდამენტი, ყორე: „ნამოვიდა დიდი ღვარი და აქეთა კედაროს თლათ გამუნგრია **ტუარი**, ნახვარ სააჩი სულ ჩეიმხლა სახლი“ (ნიჟ.).

ფერჩიმი-სიმინდის უღვაში, ფოჩი: „ყანაში ლევენდიც გამიერევა, ზოგიერთი სიმინდი კოტუმ არ მეიკეთებს. კოტუმ უღვაშივინ რომ ამუვა, იმა ფუნჯლი ქვია, ზოგი **ფერჩიმს** ან ფიმფილს ეტყვის“ (ნიჟ.).

ფეჰლევანი, **ფეხლივანი**-ფალავანი, მოჭიდავე, მორკინალი, მებრძოლი: „ხენწიფემ ერთი ღღე გამუამცხადა, რომ ჩემ **ფეჰლევანს** ვინც ხმალდახმალ შეებმება და დაამარცხეთს, იმას ხენწიფობას მივცემო“ (ნიჟ.).

ჩივთი-წყვილი: „სახლში მიველ, ქალს ვახარე, ხოჯამ მომარჩინა-მეთქინ, ასნია მან ერთი **ჩივთი** აპოხტი ქათამი და ხოჯასთან გამატანა“ (ნიჟ.).

ჩობანი-მენახირე, მეჯოგე და საზოგადოდ მეცხვარე, მწყემსი: „ქუცავებათ ჩობნები გამოდიოდნენ“ (ნიუ.).

ამრიგად, დიდი გავლენა განიცადა ზემოაჭარულმა მეტყველებამ თურქული ენისა. შესაბამისად, მეტყველებაში ისმის თურქიზმები, ასევე, თურქულის გზით შემოსული სპარსიზმები და არაბიზმები. ისინი ძირითადად მსცოვანი ხალხის მეტყველებაში გვხვდება.

თავი V

ხატოვანი სიტყვა-თქმები ზემოაჭარული მეტყველებიდან

ხატოვან ნიადაგზე წარმოშობილი სიტყვები და შესიტყვებები გადმოგვცემენ გარკვეულ მოკვეთილ აზრს და ალევორიული თუ გადატანითი მნიშვნელობა აქვთ. ასეთი ლექსიკური ნიმუშები ენის საუნჯე, სამკაულია. ასეთი მოსწრებული გამოთქმების, ფართოსანი სიტყვების, სიტყვის მასალისა თუ სხვა სახითაა დამკვიდრებული ენაში და ფართო ადგილს იჭერს ყოველდღიურ მეტყველებაში. მათ გარეშე, მხოლოდ ცალკეული სიტყვების მეშვეობით, ძნელი, ზოგჯერ კი შეუძლებელიც იქნებოდა ადამიანის აზრის ნიუანსების მთელი სიმდიდრე გადმოგვეცა, გამოგვეხატა [მოლაიდელი, 2007: 3].

ქართული სიტყვა-თქმები ლინგვისტიკის ერთ-ერთი საინტერესო ობიექტია. ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით [მოლაიდელი, 2013: 39.].

ზემოაჭარულ მეტყველებაშიც ვხვდებით ხატოვან სიტყვა-თქმებს, რომლებიც ხატოვნად ასახავენ ქართული ხალხის შემოქმედებით აზროვნებასა და სულიერი ცხოვრების გამოცდილებას.[ნოლაიდელი, 2013: 40.].

ამ დროული მევეყარე-ამ დრომდე მოვედი: „**ამ დროული მევეყარე** და თავი არ წამომტკენია, მარა წრეულ რაცხა შემვიდა წამსხმანში, ფერცხები მტკივა“ (ნოლ.).

გაკნაჭულ ვირზე შეჯდომა-დაჟინება, ახირებულობა, გაჯიქება, გაჯიუტება: „თუ დეიჩემა რამე, ხომ ველარ გადაათქმიებ, **შეუდება გაკნაჭულ ვირზე**“ (ნიუ.).

ენას ჩაკნეტიებს-შეაშინებს, დაადუმებს, გააჩუმებს, ხმას ჩაკმენდინებს: „ბევრ ნუ ლაპარაკობ, თუარა **ენას ჩაკნეტიებ**, ვიტყვი ყველამფერს“ (ნიუ.).

ერთ დავჯაგში გატარება-ყველას ერთნაირად მიჩნევა, ერთნაირად მიპყრობა, ერთნაირად გამონართობა, ერთნაირად გამობრძმეღვა (ნიუ.).

ემშაკი გადაეფარა-როცა დაკარგულ რამეს დიდხანს ეძებენ და ვერ იპოვნიან, იტყვიან: „ემშაკი გადაეფარაო“ (ნიუ.).

ზემ პირი კრა-მზე ამოვიდა, ამოიწვერა: „ზემ პირი კრა, შენ კილო ლოგინში ხარ?!“ (ნიუ.).

ზეცას ემძიმება-ამპარტავნობს, ქედმაღლობს, მედიდურობს; გოროზი, ქედმაღალია (ნიუ.).

ზეცა ჩამონვა-ზეცა ჩამოიწვრა, ცუდი ტაროსია, ისეთი საშინელი წვიმა მოვიდა, თითქოს ცა და დედამიწა წალეკა (ნიუ.).

ზნის აკრეფა-ვისიმე ხასიათის, ზნის გაგება, შეგუება, შეთვისება: „დიდი უხეირო, მუდგომელი კაცია, მაგან კაცის **ზნეს ვერ უკრეფს**“ (ნიუ.).

თვალეები დამიყენოს ღმერთმა-ფიცია, იტყვიან, როდესაც უნდათ ვისიმე დარწმუნება თავის სიმართლეზე: „თუ მე ჩავამუზე, **თვალი დამიყენოს ღმერთმა**“ (ნიუ.).

თვალი უძებნის-რისამე ან ვისამე ნატვრაშია, ვინმე ან რამე ენატრება, დიდი სურვილი აქვს ვისიმე ნახვისა, ნატრობს, დაეძებს, ელოდება, ერთი სული აქვს: „გუშინდელი ღამე შენ თავს **თვალი მიძებნიდა**, ძვილაჯ არ გნახე!“ (ნიჟ.).

თვალიდან ჩამომივარდა-შევიძულე, ავითვალისწინე: „ის კაცი მიყვარდა, მარა ახლა **თვალიდან ჩამომივარდა**“ (ნიჟ.).

თვალს დაატეხს-თვალს დაადგამს, თვალს მიაპყრობს, თვალს ვერ მოაცილებს, დაუინებით, თვალმოუშორებლად, მოურიდებლად უყურებს, უმზერს, შესცქერის (ვისმე ან რასმე), თვალეზით ჭამს: „მაგხელა შვილიშვილი შექფერის, ბიძავ **დაატეხე თვალი** მაგ გოგოს, ჰა!“ (ნიჟ.).

კბილში გემეკვება-იტყვიან, როცა რაიმე საჭმელი არ ყოფნით, ძალზე ცოტაა: „აბა, რას გავძლებოდი ერთი ფუნჩხი შეჭმით, პირიც არ წამიმფევილა, **კბილში გემეკვება**“ (ნოდ.).

კდრის ბუხრიდან ატანა-იტყვიან როცა აიძულებენ ისეთ რამეს, რაც მის შესაძლებლობას აღემატება, სურვილს ეწინააღმდეგება: „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს, მე თუ ჩემსას ვერ გვეტან, თვალეზში მათურტნეთ, **კდარს ბუხრიდან ავატანიებ** ჯელალას და ამ საქმეს მუგვარებელს არ დავჰტიებ!“ (ნიჟ.).

კონდალში მოშლა-ხასიათის გაფუჭება, ხასიათის მოშლა რაიმე მოლოდინის გაუმართლებლობის გამო, დაღონება, დადარდიანება, გაოგნება, შეცბუნება, სახტად დარჩენა: „პირველში ძალიან ეწყინა, პირდაპ **კონდალში მეიშალა**, მარა მემრენ თანდათან მოლბა“ (ნიჟ.).

კუდი ღლიას, გზა ბარაქას-გადაკრული სიტყვა იმის მისანიშნებლად, რომ მთქმელი ვისიმე დაყვედრების, დამინეთების ქვეშ არ ექცევა (ნიჟ.).

პირის მიცემა-ხელის შეშვება, თავზე ხელის გადასმა, გათამამებე, წაქეზება, განებივრება: „ბაღანას რომ **პირს მისცემ**, თავზე წამოგანუნდება“ (ნოდ.).

საქმის წასხრიკება-საქმის წინ წაგდება, სამუშაოსთვის ალღოს აღება: „პირველში ვერაფერი ვერ გუუგე, მარა ისე წევსხრიკიე საქმე, რომ ზიჩასლიხან სახლში ვიყავ უუე“ (ნიუ.).

სიტყვის დაკავება-პირობის შესრულება: „ჩემ სიტყვას თუ დეიკავებ, მორჩები აქედან, ენევი შენ დედ-მამასო“ (ნიუ.).

სული კბილით მიჭირავს-სიკვდილის პირას ვარ მისული, ძვლივსლა ვცოცხლობ. „სულს ვათრევ“, მეტად მიჭირს: „შენც ნულარ მიჯლიკინეფ, ფიჯო, სული კბილით მიჭირავს, შენ ყაიდაზე არ ვარ“ (ნიუ.).

სული ყიაში მაქვს მონოლილი-მეტის მოთმენა არ ძალმიძს, მეტს ვერ გავძლებ, მოთმინების ფიალა ამევესო, სიკვდილს მიახლოებული ვარ (ნიუ.).

სულის შეღება-სულის მოთქმა, მოსულიერება: „ასე რაფერ დეიძვირა ღმერთმა ჩემთვინ სულის შეღება, ჰა!“ (ნიუ.).

ყიყვების გასიება-გათამაშება, გაკადნიერება, თავს გასვლა, გატყლარჯება, ბაქი-ბუქობის დანყება: „დიდკაცობით ყიყვები არ უნდა გეისივო კაცმა, თანამდეგობა ხომ იცი, ზათუხულის ხილსავეთ აღრე მეილევა“ (ნიუ.).

ყური მისცა-მოუსმინა, ყურადღება მიაქცია: „ამ მოსათვირმა ამ ვარიას ყური მისცა; დაბრძანდი, ყური მომე, ვიკითხო ბეჭდი თოვლისა, ეს თავრობა ფუხარა ხალხს ყურაგლებას აძლევს“ (ნიუ.).

ყუსურზე არ დამიხედოთ-ნუ დამძრახავთ: „ყუსურზე არ დამიხედოთ, დიდი ბელა ვნახე“ (ნიუ.).

შენი თავი მომართვი-შენ შემოგეველე, შენ გენაცვალე: „ჰილამდი სული მიდგია, შენ რაფერ დიგიბინყეფ, შენი თავი მომართვი, შენ გეყურბანე“ (ნიუ.).

ცას გამიეკერება-ხანგრძლივად იცოცხლებს, დიდხანს არ მოკვდება: „ცას გამიეკერება, ნეტად ჩემი დედამთილი, სიკვდილს აღარ აპირეფს?!“ (ნიუ.).

ცეცხლის პერანგით გავზარდე-ტანჯვა-ვაებით, გაჭირვებით გავზარდე: „სხვამ არ იცის, რაფერ ცეცხლის პერანგით გავზარდე ჩემი ოთხი შვილი!“ (ნოლ.).

ცივ ქვაზე დამოსახლება-აგაშენებს, გავამდიდრებს, კარგი ოჯახის პატრონს გავხდის, ყველაფერი ხელიდან გამოსდის: „ჩემ მოკეთეს, იმფერი რძალი მეფყვანე, რომ ცივ ქვაზე დავამოსახლებს“ (ნიუ.).

ცოდვა ძირში არ დავარდება-ჩადენილი ბოროტება, ავკაცობა არ დაიკარგება; ცოდვის ჩამდენს არ ეპატიება, პასუხი ღმერთისგან მოეთხოვება: „ცოდვა ძირში არ დავარდება. დედამთილი ისე გაამწარა, ქალს შიმშილით ამოხდა სული. ნახოს ახლა, მისი ვარესი რძალი ყავს“ (ნოლ.).

ცოდვის მოგება-ბოროტების, დანაშაულის ჩადენა, შეცოდება: „გამწარებულ ქალს აღარ მუარა. ცოდვა შეიგო, მეტი რა!“ (ნოლ.).

ცხვრის წვერში უდგას სული-მოუთმენელი, სულსწრაფია: „რა დროის მაგის ცოლია, მარა ახლანდელ ბიჭებს ცხვრის წვერში უდგანს სული“ (ნოლ.).

წამწამზეა დაკიდებული-ყოველთვის ახსოვს, დღედაღამ ის აგონდება, მის გამო სულ ტირის: „ჩემი შვილი 31 წელია წამწამზეა დაკიდებული“ (ნოლ.).

წყავის მუგუბალი-ძალიან შავგრემანი ქალი: „კაია კაიაო, -იძახიან ნუნუკაის რძალზე. რა კაია? ერთი წყავი მუგუბალია! (ნოლ.).

ჭიპი აქ მიჭრილი-ძალიან კარგად იცის, დახელოვნებულია. აჭარაში ბავშვი რომ დაიბადება, ამყვანი, ბებია ქალი, ბავშვს ჭიპს მოაჭრიდა, თუ გოგო დაიბადებოდა, - ხერთალზე (თითისტარი) ან სხვა რამ საოჯახო ნივთზე, -ეს საქმე ეყვარებაო; თუ ბიჭი გაჩნდებოდა, -რომელიმე სამეურნეო იარაღზე და ა. შ. ეს გამოთქმაც სწორედ ამ ჩვეულებიდან მოდის: „ად ერიცახე ბალანად ესე კარგად ქსოვს, გეგონება ჭიპი აქ ზეგ მიჭრილიო“ (ნოლ.).

ჭიპზე გარჩევა-ჭიპზე გასკდომა, გულზე ცეცხლის მოღება, გამმაგება, განრისხება, ჯავრზე გასკდომა, გაცოფება, გაჭირვეულება: „ჭიდამდი არ წეყვანეს, არ მიეშვა, **ჭიპზე გიერჩია**“ (ნიჟ.).

ჭირის მოჭმა-ვედრებით მიმართვა, შევედრება, შეხვეწება, მუხლებზე დავარდნა, ფეხქვეშ დაგება: „თელი დლე ვეხვეწე, **ჭირი მოვჭამე**, რამა მაინც არ დაადგა შაშველი“ (ნიჟ.).

ჭიჭვი ვერ ვქენი-ვერ ვიხიერე, ვერ გავმართლდი, საქმე წინ ვერ წავწიე: „რაც სახლიდან წამუელი, ყველაფერი უკულმა წევიდა, **ჭიჭვი ველარ ვქენი**“ (ნოლ.).

ხელიდან ხელში არ მიიციმა-იმდენად კარგია, რომ ძალიან უნდა გაუფრთხილდნენ, სათუთად უნდა მოეპყრონ: „იმფერი ლამაზი ბალანად ყავს ეტერას, **ხელიდან ხელში არ მიიციმა**“ (ნოლ.).

ხელის გარეკვა-ხელის გაცლა, გათავისუფლება: „შვილებიდან ად ერთი დარჩა აიშეს; იგიც საცხა რუსეთში წევიდა და დეიკარგა. საცოდავი... შვილებიდან **ხელი გიერეკა**“ (ნოლ.).

ხელის მიციმა-კარგად მოვლა, ხელის შეწყობა: „კად ხელის მიციემით ორმოც დლეში გეიზდება ყაჭი“ (ნოლ.).

ხეს და მიწას ედება-ბევრი რამის კეთებას იწყებს, მაგრამ არაფერი გამოსდის: „ვითომ ყველაფერს აკეთებს, **ხეს და მიწას ედება**, მარა მის დროზე სადილსაც ვერ დადგამს“ (ნოლ.).

ამრიგად, ზემოაჭარულს მოეპოვება ის სიმდიდრე და ენის საუნჯე, რასაც ხატოვანი სიტყვა-თქმა ჰქვია. ისინი ალამაზებენ და უფრო საინტერესოს ხდიან დიალექტს. მათში შეფარვით, გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი ესა თუ ის აზრი. ხატოვან სიტყვა-თქმებს შეუძლია ადამიანთა შეხედულებებისა და აზრის მოხდენილად გადმოცემა. ზემოაჭარულ დიალექტს მოეპოვება არაერთი ხატოვანი სიტყვა: **ხეს და მიწას ედება**,

ჭიჭვი ვერ ვქენი, ცოდვა ძირში არ დავარდება, კუდი ღლიას, გზა ბარაქას, გაკნაჭულ ვირზე შეტდომა, ჭიპის მიჭრა, წყავის მუგუზალი

დასკვნა

როგორც ცნობილია, აჭარული ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი საინტერესო, ენობრივი თავისებურებებით მრავალფეროვანი და სახასიათო კილოთაგანია. ამასთანავე, დიალექტმა გარკვეული როლი შეასრულა ქართული სამწერლობო ენის ფორმირებაში.

აჭარული კილოსთვის დამახასიათებელ ენობრივ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული სალიტერატურო ენისა თუ ისტორიული დიალექტოლოგიის და, საერთოდ, ქართულ სალიტერატურო ენაში მომხდარ ცვლილებათა პროცესების კვლევაში. განსაკუთრებით ფასეულია აჭარული კილოს მონაცემები ამ მიმართებით, რადგან საკუთრივ აჭარული დიალექტი მდიდარია კილოკავებით, თქმა-ქცევებით. ბუნებრივია, რომ აჭარული კილოს შესწავლა თქმისა თუ ქცევის დონეზე უფრო სრულყოფილ, კონკრეტულ წარმოდგენას შეგვიქმნის დიალექტზე. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის საგანი შემოიფარგლა ზემოაჭარული მეტყველების ლექსიკური თავისებურებების შესწავლით.

აჭარული დიალექტი ერთ-ერთი საინტერესო საკვლევი ობიექტია ლექსიკის თვალსაზრისითაც. თავის მხრივ, ზემოაჭარული მეტყველება ლექსიკური კუთხით საინტერესო ლინგვისტურ სურათს გვიჩვენებს.

ზემოაჭარულ კილოს დაუცავს არაერთი არქაული სიტყვა თუ გამოთქმა, რომელიც სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში ან სულ აღარ ისმის, ან თანდათან ქრება მეტყველებიდან. პარალელურად, დიალექტში ჩნდება ახალი სიტყვა-თქმები, შესაბამისად, ზემოაჭარულ მეტყველებაში ლექსიკის თვალსაზრისით განვითარების ორი ტენდენცია შეინიშნება: ძველი, არქაული სიტყვების არსებობა და ახალი ლექსიკური ერთეულების დამკვიდრება.

როგორც აღვნიშნეთ, ზემოაჭარულ კილოს სიტყვიერი მასალის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფენას ძველი ქართული ენის ლექსიკა წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოაჭარულმა შემოინახა არაერთი არქაული სიტყვა იმ მნიშვნელობით, რაც მათ ძველი ან საშუალო პერიოდის ქართულში ჰქონდათ. ჩვენ მიერ მოძიებული ლექსიკური არქაიზმებიდან დავასახელებთ ზოგიერთ ნიმუშს: **არნაბი**-ტარიანი ძელი, გამოთრილი მიწის გადასაყრელად; **კოტა**-ხის რიკი რისამე ჩამოსაკიდებლად. სიმინდის ტარო, თოფის საკეტი; **უნასი**-მსუნაგი; სუსნია (ჩვეულებრივ საქონელზე ითქმის); **ფათხი**-ხშირტოტებიანი ჰატარა ხე (მოჭრილი) ან ხის განასხევი შტოები, რომელსაც ხვიარა მცენარეს (კიტრი, ნესვი...) დაუწყობენ ან

ძირებზე დაუსობენ, რომ მცენარე მოეხვიოს; **ფია**- რძის ან პურის ფეკილის ფაფა; **ჩახვი**- პარკი.

ზემოაჭარული მეტყველების სახასიათო ნაწილს წარმოადგენს საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები: **ალაფი**-საქონლის საჭმელი; **ბადადი**- ჩვარი, ჭინჭი; **გზაბანარად** -ვინრო, საცალფეხო გზა; **დვალურად**-მრავალწლოვანი ბალახი; **დინნე**-დიდი ნენე, დიდდაბებია; **კუტი-ლამბა**-იგივეა, რაც ფეჩატად-ხელში საჭერი უშუშო ლამპა,-ჭრაქი...

ზემოაჭარული მეტყველების ლექსიკური თავისებურებების მახასიათებელია ისიც, რომ ვლინდება ზანური სუბსტრატის კვალი. ზემოაჭარული მეტყველებიდან დავასახელებთ ზოგიერთ ზანიზმს: **ბაღში**-შვილიშვილ; **ბურღლა**-ბუმბული; **ჩორჩხი**-მცენარის ტოტებისაგან გაკეთებული ცოცხი-ფოს, კალოსა და მისთ. დავადასასუფთავებლად.

ზემოაჭარულ მეტყველებაში ისმის ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ფუძენის კუთვნილი ზოგიერთი არქეტიპის აღდგენაში დაგვეხმარება. ამ რიგის ლექსიკური ერთეულებია: **ახუჰვა**-ხელში აყვანა, ატატება; **კელობა**-კოჭლობა; **ქუნჩალი**-სიმინდის ტაროს შენაძრობი ფოთლები, - ფუჩჩი; **ხაშარი**-ტოტებშემოცლილი ჯიხი, რომელსაც ხვიარა ჯიხის ლობიოს მცენარეს უსობენ ბარდის შესაკავებლად.

კუთხის ისტორიული ბედუკულმართობის გამო, ზემოაჭარული მეტყველების ერთ-ერთი სახასიათო ლექსიკური თავისებურებაა ისიც, რომ ვლინდება უცხოენოვანი ლექსიკური ნასესხობანი. კერძოდ, ბევრია თურქულენოვანი და თურქულის გზით შემოსული არაბული და სპარსული ლექსემები. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს. **თურქიზმები**: **აღა**-ბატონი; **დელიყანლობა**-მონიფებული, სრულასაკონება, ახალგაზრდობ; **თირფანი**-თრიფანი-ცელი; **მაშრაფა**- ლითონის პირღია , ყურიანი ჭურჭელი,-წყლის დასალევი,ტოლჩ; **ფუნჯული**-სიმინდის უღვაშები, ქოჩორი; **ყაფსაფა**-ჩირის შეჭამადი, ჭანწურს ჩირს მოხარშავენ და შაქრით შეზავებულ, დანაყულ ნიგოზს მოაყრიან; **ყირმიზი**-ნითელი.

არაბიზმები: უბერეცეთო - რასაც ბარაქა, ხვაჯი არ აქვს, - უბარაქო; **უსულით**-ნელა, წყნარად, შეუმჩნევლად, ფრთხილად, მორიდებით; **სოხბეთი** - მშვიდი ლაპარაკი, მუსაიფი, ბაასი, საუბარი, ბჭობა; **სელამეთი** - მშვიდობა, უვნებლობა, ჯამრთელობა, კეთილდღეობა; **სახათი**- დასახიჩრებული, საპყარი, ხეიბარი; **რაჰათი** - რახათი - მოსვენება, დასვენება, სიმშვიდე, სიწყნარე, მყუდროება; **მელჰემი** - სამკურნალო საცხი, სალბუნი, მალამო; **ლუხუმი** - ხორბლის თეთრი ფეკვილის ნამცხვარი; თხლათ მოზელილ ცომს ააფუებენ, ღრმა ტაფაში მოწვავენ საჭმელ ზეთს, აიღებენ ცომს ოდნავ მოუჭერენ მუჭით, საიდანაც ბუშტის ოდენა ცომი ამოვა, მოწყვეტენ რამით და ჩააგდებენ დამწვარ ზეთში; გააჩერებენ მანამ სანამ ყოველი მხრიდან არ შენითლდება. ზოგჯერ გემოვნების მიხედვით ფხვნილ შექარსაც მოაყრიან.

სპარსიზმები: **ზოული**-ყოჩალი, მამაცი, მარჯვე, წარმოსადეგი; **ფეჰლევანი**, **ფეხლივანი**-ფალავანი, მოჭიდავე, მორკინალი, მებრძოლი; **ლეჩრად**-ხილისგან მოღულეებული ტკბილი წვენი; **ფერჩიმი**-სიმინდის ულვაში - ფოჩი; **თრიაქი**-ოპიუმი, დავიწყებით გატაცებული, აზარტში შესული, მსმელი, ლოთი; **კოშკი**-სახურავიანი აივანი; **ნახანური**-ადგილი, სადაც წინათ ხანა იყო გაშენებული; **ნიშანი**-ძვირფასი სამკაული სასიძოს მიერ საპატარძლოსთვის მირთმეული, რის შემდეგაც არც სასიძის შეუძლია სხვისი შერთვა და არც საპატარძლოს სხვაზე გათხოვება; **ჯაბანი**-გარეული, მტაცებელი ცხოველი, მხეცი, ნადირი; უცხო გარეშე.

ზემოაჭარული მეტყველების განმსაზღვრელია ისიც, რომ არაერთი ხატოვანი სიტყვა-თქმა ისმის მათ ყოველდღიურ მეტყველებაში. ამოუწურავია ხალხის პოეტური აზროვნება და შესაბამისად, მისი სიტყვიერი სამოსით განივთება. სიტყვა-თქმები ხალხის ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებას ხატოვანს ქმნის, თან ასეთი სიტყვა-თქმები ძალდატანებითი კი არა, უნებლიე, უშუალო ამოძახილია მეტყველებისა. ასეთი სიტყვა-თქმების აღნუსხვა ცოცხალ მეტყველებაზე ხანგრძლივ და სისტემატურ დაკვირვებას, ხალხთან უშუალო ურთიერთობას მოითხოვს. ხატოვანი სიტყვა-თქმები ენის სამკაული და ენის ძვირფასი საუნჯეა. ზემოაჭარულ მეტყველებაშიც ვხვდებით მყარ შესიტყვებებს: **ამ დროული მეფყარე**-ამ დრომდე მოვედი; **გაკნაჭულ ვირზე შეჯდომა**-დაჟინება, ახირებულობა, გაჭიქება, გაჭიუტება; **ენას ჩაკნეტიებს**-შეაშინებს, დაადუმებს, გააჩუმებს,

ხმას ჩააკმენდინებს; **ეშმაკი გადაეფარა-როცა დაკარგულ რამეს დიდხანს ეძებენ და ვერ იპოვიან**, იტყვიან: „**ეშმაკი გადაეფარაო**“; **თვალეები დამიყენოს ღმერთმა**-თიცია, იტყვიან, როდესაც უნდათ მისივე დარწმუნება თავის სიმართლეში; **კოდრალში მოშლა**-ხასიათის გაფუჭება, ხასიათის მოშლა რაიმე მოლოდინის გაუმართლებლობის გამო, დაღონება, დადარდიანება, გაოგნება, შეცბუნება, სახტად დარჩენა; **სული კბილით მიჭირავს**-სიკვდილის პირას ვარ მისული, ძვლივსლ ვცოცხლობ. „სულს ვათრევ“, მეტად მიჭირს.

ამრიგად, ზემოაჭარული დიალექტის ლექსიკა მრავალმხრივ საინტერესოა. ლექსიკა ყველაზე ცვალებადი ნაწილია ენისა და მიგვაჩნია, რომ მისი შესწავლა ყოველთვის აქტუალურია, სიახლის მომცემია. ამ კუთხით კვლევა ხელს უწყობს ახალი ან მივიწყებული ლექსიკური ერთეულების გამოვლენას. შესაბამისად, დიალექტის ლექსიკის შესწავლა ხეობათა თუ თქმა-ქცევის დონეზე სწორედ შეძლებს ამ ლექსიკურ ერთეულთა აღნუსხვას. თითოეული ახალი ლექსიკური ერთეული თავის ადგილს დაიჭერს დიალექტის დრგობრივ ლექსიკაში. დიალექტის ლექსიკის შესწავლა კი არის სალიტერატურო ენის სიტყვიერი ფონდის საფუძველიცა და სიმდიდრე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ლექსიკონი, თბ., 1973.

2. გიგინეიშვილი., თოფურია ვ., ქავთარაძე., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.
3. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათ., 1971.
4. ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათ., 1961.
5. ნოლაიდელი ნ., „სიტყვა სიტყვის მაკინარია“ (ხატოვან სიტყვა-თქმათა ნიმუშები აჭარულ დიალექტში), კრებ: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IX, ბათ., 2007.
6. ნოლაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, ბათ., 2013.
7. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათ., 1971.
8. ნოლაიდელი ჯ., აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათ., 1960.
9. ორბელიანი ს., სიტყვის კონა, თბ., 1949.
10. სურმავა ნ., მესაქონლეობისა და რძის ნაწარმის შემზადების ლექსიკა აჭარაში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VII, თბ., 1990.
11. უთურგაიძე თ., თუშური კილო, თბ., 1960.
12. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950.
13. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II, თბ., 1951.
14. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, III, თბ., 1953
15. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბ., 1955.
16. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბ., 1958.
17. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, თბ., 1960.
18. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, თბ., 1962.
19. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, თბ., 1964.
20. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I-III, თბ., 2000.
21. ქერქაძე ი., ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974.
22. ლლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
23. ჩიქობავა არნ., ჭანურ-ქართულის შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
24. ჯავახიშვილი ი., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.